

# იგეო +

ყოველთვიური საგანმანათლებლო-საინფორმაციო ჟურნალი შეზღუდული  
შესაძლებლობის მქონე პირებისათვის

1713  
2010

№ 12 (22), დეკემბერი 2010



3 ლეკციები  
ენერგეტიკული გენერაციის საექიმო პრინციპები  
ენერგეტიკული გენერაციის საექიმო პრინციპები

UDC(uak) 050-056.  
26+369.25+368. 945-0 -474

სარგებლობის საგვრ
თემი მურაზ მიქიაშვილი კარლო მუშკუდიანი
მთავარი რედაქტორი
თემი მურაზ მიქიაშვილი ტელ 893335887
გამომცემელი რედაქტორი:
კარლო მუშკუდიანი ტელ.: 851770210
დიზაინერი
გიორგი ჯვარშვილი
გამომცემელი:
კავშირი „იმედი პლაუსი“
საკონტაქტო ინფორმაცია
ქურნალი „იმედი“ ს.ჩიქოვანის ქ.14 ტელ.: + 995(32) 365627 890331837 ელ ფოსტა: pr_imediplus@yahoo.com ვებგვერდი: www. imediplusi.ge ქურნალი რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი: 01343/12/0726

შეუძლებელი არაფერია, ანუ ყველაფერი წესიერების ფარგლებში.....	2
13 ნოემბერი უსინათლოთა საერთაშორისო დღე .....	5
სამკურნალო პედაგოგიური დიაგნოსტიკა .....	6
როგორ ავიცილოთ ნაწოლების ნარმოქმნა.....	11
ნოდარ მამაცაშვილის შემოქმედება .....	13
შეუძლებელი არაფერია .....	15
ლაშა ცაიშვილი შემოქმედება .....	19
სმენადაქვეითებულთა განათლება —	
არისტოტელედან თანამედროვე გამოწვევებამდე .....	22
უნდა ირწმუნო, რომ გაიმარჯვო, ანუ 60 ვარჯიში სიცოცხლისათვის .....	27
მოძრაობა ბავშვის ჯანმრთელობას აყალიბებს .....	28
სპორტის ახალი ამბები .....	30
მოზაიკა .....	32

## ჟურნალი ვრცელდება უფასოდ

გარეკანის პირველ გვერდზე: დავით ყვირილიანი  
გერგეტის პიკზე. ფოტო გია ჯვარშეიშვილის  
ჩანართის ფოტოები გია ჯვარშეიშვილის



იძეჭდება ფონდი ლია საზოგადოება-  
საქართველოს მხარდაჭერით

## ჟურნალი გამოდის 2009 წლის იანვრიდან

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. უურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი. უურნალისტის მიერ ჩანართის აუდიო მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

უურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოსურათების გადაბეჭვდა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

# შეუძლებელი არათერია, ანუ ყველათერი წესითების თარგლები

თეიტურაზ მიტიაზვილი

მწვერვალის დაპყრობა დიდი ვაჟკაცური საქმეა. ეს არ მიეკუთვნება ისეთ კატეგორიას, როგორც, ვთქვათ, სპორტის სათამაშო სახეობებით. მას სულ სხვა რამ უდევს საფუძვლად, რომელიც არა მარტო ფიზიკური ძალების, არამედ მთელი შინაგანი და გარეგანი ძალების მობილიზებით, გულადობით, თავდადებით, ურთიერთგატანით, კაცობით (ამ სიტყვის სრული გაცემით) და ბევრი სხვა ადამიანური თვისებების ერთიანობის წყალობით მიიღწევა.

მითუფრო დიდი ვაჟკაცობაა მაშინ, როდესაც უსინათლო ადამიანი პირველად მიდის მყინვარწვერის დასაპყრობად, მართალია სხვა მოლაშქრეთა დახმარებითა და დაზღვევით და ვიზუალური წარმოდგენა არ აქვს იმ გარემოზე, სადაც მიდის, მაგრამ მაინც მიდის, რომ თავის მიზანს მიაღწიოს. ეს ქმედება გმირობის ტოლფასია. გმირობაა იმ ადამიანებისაც, რომლებმაც მისი გამყოლობა იყისრეს. თავის თავზე აიღეს უდიდესი პასუხისმგებლობა, რათა წარმოეჩინათ და ქვეყნისათვის დაენახვებინათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის შესაძლებლობები. ეთქვათ ის, რომ შეზღუდული შესაძლებლობა, როგორც ასეთი, პირობით ხასიათს ატარებს, რომ ადამიანი, რომელსაც ჩვენ ჯანმრთელს ვეძახით, თავის შესაძლებლობებში ისიც გარკვეულწილად შეზღუდულია და შეიძლება ვერ გააკეთოს ის, რასაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი შეძლებს. და აი ფაქტიც, ბავშვობიდან უსინათლო ადამიანმა დავით ყვირილიანმა, 2010 წლის 26 ოქტომბერს, თავის გამყოლებთან — დათო ამირეზაშვილთან, ლევან შერვაშიძესთან და ოპერატორ ილია თვალიაშვილთან ერთად 4506 მეტრის სიმაღლის გერგეტის (ყოფილი “სპარტაკის”) მწვერვალი დაიპყრო. ეს მსოფლიოში მე-9 შემთხვევაა, ხოლო ამიერკავკასიაში ერთადერთი, როდესაც მწვერვალი უსინათლო ადამიანმა დალაშქრა.

ეს მოვლენა უბრალოდ არ მომხდარა. მას წინ უძლოდა მთელი რიგი წინააღმდეგობებით სავსე ფაქტორები, რომელსაც ადამიანთა ურთიერთობა ჰქვია და, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე.

რედაქციაში გვეწვივნენ ამ ლონისძიების ორგანიზატორი გია ჯვარშეიშვილი და მთავარი გმირი დავით ყვირილიანი.

**გია ჯვარშეიშვილი** — ამ იდეის განხორციელებას თავისი წინაპირობები გააჩინა და მოდით ამით დავიწყოთ. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ არასამთავრობო ორგანიზაცია, კრიატიული სტუდია “iGeo”, რომელიც ძირითადად კინემატოგრაფიისა და რეკლამის კუთხით მუშაობს. გვინდოდა უსინათლოებისათვის რაღაც გაგვეკეთებინა. ჩვენი პროფესია დირითადად ხედვითი, ვიზუალზე-ციის პროცესია და ეს მეთოდი მათ-თვის ბუნებრივია არ გამოდგებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ პირიქით, სხვა კუთხით, ანუ შეხების გრძნობის გამოყენებით მიგვენოდებინა მათთვის საჭირო ბეჭდვითი პროდუქცია. ამ პერიოდში ჩვენ დაგვაინტერესა გამოდიოდა თუ არა უსინათლოებისათვის მხატვრული ლიტერატურა ბრაილის შრიფტით. აღმოჩნდა, რომ ამ მიმართულებით არავითარი მუშაობა არ მიმდინარეობდა. გადავწყვიტეთ ჩვენ თვითონ გადაგვეჭრა ეს საკითხი და დავიწყეთ სირბილი სახსრების მოსაძიებლად. დიდხანს

ვირბინეთ და დიდება ღმერთს სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით მოვიძიეთ საჭირო სახსრები, რითაც გამოვეცით თანამედროვე ქართული პოეზიისა და პროზის მცირე ანთოლოგიები. ამ პერიოდში გავიცანი დათო ყვირილიანი, რომელმაც შესანიშნავი შთაბეჭდილება დამიტოვა. ყველგან დამყვებოდა. ამისნა უსინათლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და პრობლემა. მოკლედ რომ ვთქვათ დავმეგობრდით. ბუნებრივია ისიც, რომ მეგობრის შესახებ ყველაფერი გინდა იცოდე და გიჩნდება უამრავი კითხვა. მისმა განვლილმა ცხოვრებამ გამაოგნა და ჩამაფიქრა. მის ცხოვრებას რომ დავაკვირდი, რომ იყო ძლიერი, სრულიადაც არ არის საჭირო გქონდეს ადამიანისათვის საჭირო რომელიმე ორგანო. ის ჩემს თვალში ისე ამაღლდა, როგორც არავინ. პროფესიით უურნალისტი გახლავარ და ჩვეულმა ჩაძიებამ მისი ცხოვრება ჩემს თვალშინ გადამიშალა.

დათო აფხაზეთიდან დევნილია. უფროსი ძმა ომობდა. თავის სახლკარს



და ღირსებას იცავდა. მამამისმა, ზურაბ ყვირილიან-მა იქიდან ფეხი არ მოიცვალა და დახვრიტეს. იმის გამო, რომ მისი ძმა ომობდა, მამის საფლავის ადგილსამყოფელიც კი არ უთხრეს. აფხაზეთიდან წამოსვლის დროს ეს უსინათლო ბიჭი და მისი ოჯახის წევრები დიდი გაჭირვებით სხვადასხვა გემზე მოხვდნენ. ფაქტობრივად დედამ დაკარგა უსინათლო შვილი. თვენახევარი ეძებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ უშედეგოდ. გემზე ყოფილა დათოს მეზობელი, რომელმაც შეიფარა და მზრუნველობდა როგორც შეეძლო. თავისთან ჰყავდა, ხიფათს რომ არ გადაყროდა. თბილისში ჩამოსვლის დროს დათომ უთხრა, რომ უსინათლოთა სკოლაში სწავლობდა, რის შემდეგაც მეზობელმა მიიყვანა აღნიშნულ სკოლაში. როგორც იქნა ოჯახმა მოძებნა დათო. შემდეგ დაამთავრა აღნიშნული სკოლა-პანსიონი და იმავე წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში (ახლანდელი სოხუმის თავისუფალი უნივერსიტეტი), რომელიც წარმატებით დაამთავრა და მიიღო სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის დიპლომი. ამჟამად მუშაობს საქართველოს უსინათლოთა კავშირის აფხაზეთის ფილიალის თავმჯდომარის მოადგილედ და იღებს ხელფასს 156 ლარის ოდენობით. ცხოვრობს თბილისის ზღვაზე 16 მ<sup>2</sup> ბინაში თავის ძმასთან, რძალთან, მათ ორ შვილთან და დასთან ერთად. მიუხედავად ასეთი წარსულისა, დათო ლალი და ოპტიმისტი ადამიანია. ცხოვრების უზინი აქვს და გააჩნია მიზანი, რომელსაც აუცილებლად მიაღწევს. ერთხელ ასეთი კითხვით მივმართე — ” რას იზამდი უსინათლოს ცხოვრება უკეთესი რომ გახდეს? ” - და მან მიპასუხა — “ ყველაფერს წესიერების ფარგლებში ” . ამ პასუხმა კარგად დამანახა დათო ყვირილიანის პიროვნება და მისი პატიოსნება, რაც მას ჭარბად ახასიათებს. ის ძალიან თავისუფალი და ამავე დროს ძალიან პატიოსანია. შემდეგმა ურთიერთობამ დამარწმუნა, რომ დათო ყველაფერს შეძლებდა.

საზოგადოებამარაფერი იცის უსინათლოთა შესახებ. არ აქვთ წარმოდგენა მათ შესაძლებლობებზე, შრომით და შემოქმედებით პოტენციალზე, რომ მათ შეუძლიათ იგივე და ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მეტის მიღწევა, ვიდრე ჯანმრთელ ადამიანს და, რომ ეს ყველაფერი საზოგადოებისათვის მიგვეწვდინა გვჭირდებოდა ისეთი ტრიბუნა, რომელიც დაგვეხმარებოდა ჩვენი სათქმელის შორს გატანაში, ყველას დაანახვებდა მათ შესაძლებლობებს. ამ ძიებაში დაიბადა მწვერვალის დაპყრობის იდეა, რომელიც დათოს უნდა განეხორციელებინა. ღვთის წყალობით ყველაფერი კარგად დამთავრდა და დათო ყვირილიანმა ღირსეულად შესარულა დასახული ამოცანა. ახლა კი, ვსარგებლობ შემთხვევით და დიდი მაღლობა მინდა გადავუხადო ექსპედიციის ხელმძღვანელს, მთამსვლელს დათო ამირეზაშვილს, მთამსვლელს ნოდარ ქვარაიას, ფილმის ოპერატორს ილია თვალიაშვილს, საქართველოს ტელემაუწყებლობის პირველი არხის

უურნალისტს რატი მუჯირს და ოპერატორს ალექსი შერვაშიძეს ამ ექსპედიციაში მონაწილეობისა და წარმატებით დამთავრებისასთვის. ახლა კი თვით ლაშქრობის შესახებ.

პირველ რიგში სირთულეებზე მოგახსენებთ. ამ საკითხს ძალიან სერიოზულად მივუდექით. მოგეხსენებათ მთასვლელობა ხუმრობა საქმე არ არის. მითუმეტეს უსინათლო მთამსვლელთან ერთად. დიდი ენთუზიაზმითა და მონდომებით ჩაებნენ ამ საქმეში მთამსვლელები დათო ამირეზაშვილი, ლევან შერვაშიძე, ნოდარ ქვარაია და ოპერატორი ილო თვალიაშვილი, რომელიც ფილმს იღებდა ამ მოვლენის შესახებ. მივდექით, მოვდექით, დავინუეთ სახსრების ძიებნა. ვის არ ვთხოვეთ სპონსორობა, მაგრამ უსინათლოს ლაშქრობა მყინვარზე ეტყობა ვერ დაიჯერეს და ყველამ უარით გამოგვისტუმრა. ისევ ჩვენ ვივალეთ გარკვეული თანხა და ასე შედგა ეს ლაშქრობა.

შევიმუშავეთ პროგრამა მინიმუმი და პროგრამა მაქსიმუმი. პროგრამა მინიმუმი ითვალისწინებდა მეტეოსადგურზე ასვლას, რომელიც 3500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ხოლო პროგრამა მაქსიმუმი მყინვარნვერის დალაშქრა იყო. ამავე დროს, თუ დათო შეძლებდა მცოცავი ქანების დაძლევას სვლა გაგრძელდებოდა, ხოლო თუ ვერ შეძლებდა სვლა შეწყდებოდა. გაძლიერებული ქვისცვენის და ჯანყის გამო ჩვენ დასახული მიზნისაკენ, მყინვარნვერისაკენ აღარ წავედით. ამიტომ შევუტიეთ გერგეტის მწვერვალს, რომელიც მყინვარნვერის ქვეშ მდებარეობს და, რომლის სიმაღლეც 4506 მეტრს აღწევს. უნდა გითხრათ, რომ ურთულეს პირობებში მოგვინია მწვერვალზე ასვლა. ბობოქრობდა ძლიერი ქარი, რომელსაც თან თოვლი ახლდა.

**დათო ყვირილიანი** — ჩვენს ურთიერთობაზე მეტს აღარ ვიტყვი. გიამ საკმარისად ისაუბრა ამის შესახებ, მხოლოდ იმას დავამატებ, რომ გიაჯვარშეიშვილმა პირველად დამოუკიდებული საქართველოს ისტორიაში ბრაილის შრიფტით დაგვიძეჭდა თანამედროვე მწერალთა პროზისა და პოეზიის მცირე ანთოლოგიები, რითაც დიდი სიამოვნება მოგვანიჭა. მანამდე, ძირითადად აუდიოდასკებზე ვიყავით დამოკიდებული. ერთადერთი, რომელიც ჩვენს განათლებაზე და ინფორმაციის მოწოდებაზე ზრუნვლით, ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი უურნალი “ სინათლე ” იყოდა არის, რომელსაც ქალბატონი ცირა ვეფხვაძე რედაქტორობს. ხმოვან



დისკებზე ჩვენსა და მწერალს შორის შუამავალია დიქტორი, რომელსაც დადგებითთან ერთად, მრავალი უარყოფითი მხარე გააჩნია. დიდი სიამოვნებაა, როდესაც ნაწარმოებს თავად ეცნობი შენი ხელით. შემდეგ კი ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა პირად სიახლოვეში გადაიზარდა და დავმეგობრდით. მან ჩემს ცხოვრებაზე ყველაფერი იცის და ამის შემდეგ დაიბადა იდეას მწვერვალის დაპყრობისა და დოკუმენტური ფილმის გადაღების შესახებ. შეირჩა სხვადასხვა ვარიანტი და მე, როგორც მთის კაცმა, ლეჩებუმიდან ვარ ნარმოშობით, ვარჩიე მთის დალაშქრა.

ჩემი ბიოგრაფია თავიდანვე წინააღმდეგობებით დაიწყო. ექვსი თვის ვიყავი რომ აღმომაჩნდა თვალის დაავადება. მამაჩემი წლების მანძილზე სოფლის თავმჯდომარე იყო და თუ ვინმე ჩამოვიდოდა მაშინ ზღვაზე დასასვენებლად სოფელ ახალ კინდლში (ოჩამჩირის რაიონი), ყველას ასინჯებდა ჩემს თავს. ერთ ზაფხულს დასასვენებლად ჩამოსული ექიმი მოიწვია ჩვენს სახლში. სამწუხაროდ იმ ქალბატონის გვარი არ მახსოვს, ძალიან პატარა ვიყავი მაშინ. რომ გამსინჯა, სასწრაფოდ გამომაგზავნეს თბილისში. აქ დამიდგინეს ორივე თვალის გლაუკომა. ამის შემდეგ დაიწყო ჩემი ძალიან რთული ცხოვრება. შემომატარეს მთელი საბჭოთა კავშირი, მაგრამ ვერაფერი მიშველეს. ერთი თვალიდან შვიდი წლის, ხოლო მეორე თვალიდან რვა წლის ასაკში დავკარგე მხედველობა. ჩამომიყვანეს აქ და სწავლა განვაგრძე თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონში. აფახაზეთის ომი რომ დაიწყო სახლში ვიყავი ჩასული. ამ ომმა მრავალი ოჯახი დაანგრია, ბევრს გაუმნარა ბავშვობა და მათ შორის არც მე ვიყავი გამონაკლისი. მესამე კურსზე რომ ვიყავი დედაც გამომეცალა ხელიდან. ძალიან დიდი დახმარება გამინია საქართველოს უსინათლოთა კავშირის თავმჯდომარემ, ბატონმა რევაზ მაისურაძემ და უურნალ „სინათლის“ რედაქტორმა, ქალბატონმა ცირა ვეფხვაძემ, რომელიც თავის დროზე ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. ყოველთვის ვგრძნობდი მათ მზრუნველობას. ვმსახურობ საქართველოს უსინათლოთა კავშირის აფხაზეთის ფილიალში. ახლა ჩემს ძმასთან, მის ოჯახთან და ჩემს დასთან ერთად ვცხოვრობ თბილისის ზღვაზე.

მთაში ასვლა არ უნდა წარმოვიდგინოთ ისეთი ლამაზი ფერებით, როგორიც ზოგიერთს ჰქონია. ძალიან რთული გზა გავიარეთ. მთავარი და მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ მაინც დავლაშქრეთ მწვერვალი და მიზანს მივაღწიეთ. მხოლოდ გული იმაზე მწყდება, რომ მყინვარზე ვერ ავედით. მყინვარზე ლაშქრობის დროს წარმოიშვა სიცოცხლისათვის საშიში სიტუაცია და ამის გამო მარშუტი შევცვალეთ. შევუტიეთ გერგეტის 4506 მეტრის სიმაღლის მწვერვალს, რომელიც წარმატებით ავიღეთ. ამ სიხარულის აღწერა შეუძლებელია. იპყრობ მწვერვალს, რომელიც თითქოს გიზიდავს, თავისთან გეძახის და ამავე დროს რაღაც გექაჩება უკან, ეჭვებს გიჩენს და ჭოჭმანობ, და მიუხედავად

ამისა მაინც წინ მიდიხარ, გაბედულად და იმედიანად იმიტომ, რომ იცი შენს გვერდით ვაჟეაცები დგანან - დათო, ლევანი და ნოდარი. უდიდესი ალმაფრენაა მწვერვალზე ფეხის დადგმა. შემდეგ შაბანურის გახსნა და საქართველოს სადლეგრძელოს შესმა. იცით, ეს რაღაც განუმეორებელი გრძნობაა, თითქოს მთელ სამყაროს ესაუბრები იქიდან. შემდეგ ბრაილის შრიფტით წერილი დავწერე — „შეუძლებელი არაფერია“, მივაწერე ჩვენი გვარები და ასვლის თარიღი, კაფულაში ჩავდე და იქ დავტოვე.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მწვერვალის დაპყრობა ჩვენი თვითმიზანი არ გახლდათ. ძირითად მიზნად ვისახავდით საზოგადოებისათვის ჩვენი ხმის მიწვდენას. გვსურდა შეგვეხსენებინა ჩვენი არსებობა. საზოგადოებას უსინათლოები წარმოუდგენია მხოლოდ მეტროში ხელგანვდილ ადამიანებად და არ იცნობენ ჩვენს შესაძლებლობებს. საზოგადოებამ უნდა იცოდეს ჩვენი შემოქმედებითი პოტენციალი და აღიაროს ჩვენი მოქალაქეობრივი ლირსება. მათ უნდა იცოდნენ რომ ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი, რომ ჩვენ გაგვიჩნია უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალი და ბატონ ნოდარ მამაცაშვილის გამონათქვამს თუ მოვიშველიებ ვიტყვი, რომ — „მოუსმინონ მზის ნათელის ხილვის ვერ მხილველ ადამიანთა გულიდან გადმოლვრილ ჰანგებს და ეს ეჭვიც გაუქარწყლდებათ. ისინი ხომ ჩვენ ძალიან ზერელედ გვიცნობენ. დაგვაპრუნონ თავიანთ წიაღში, ანუ, როგორც დღეს იტყვიან, მოახდინონ ჩვენი ინტეგრაცია, ჩვენ შებრალება კი არა, ღირსეული აღიარება გვჭირდება“. აი, ამის თქმა გვინდოდა ხმამაღლა, ყველას რომ გაეგო და ამის სათქმელად ეს ფორმა მოვიგონეთ. პირდაპირ ვთქვათ — დღეს ოცდამეერთე საუკუნეა. ნებისმიერ ქვეყანაში აქვთ სინთეზატორი, რომელიც უსინათლოთა სულიერ საზრდოს წარმოადგენს. მით უმეტესი მათვების, ვინც სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. ჩვენთვის კი ეს ოცნების საგანს წარმოადგენს. იქნებ ოცნება რეალობად იქცეს თუ კი დიდი საზოგადოება ყველაფერს ამას ყურთ იღებს. ჩვენ თუ თვალის ჩინი დაკარგული გვაქვს, ეს იმას არ ნიშნავს რომ ყველაფერი დავკარგეს. სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს გულის ჩინი, რომელიც ყველაფერის შემდლება და თუ კი დიდი საზოგადოება ამას გაგვიგებს, ჩვენ ყველაფერს მივაღწევთ. სიმართლე რომ გითხრათ კვლავ მზად ვარ, რომ გავაკეთო ისეთი რამ, რაც საზოგადოებას დაარწმუნებს ჩვენს შესაძლებლებრივი, დაარწმუნებს, რომ ჩვენ ჩვენი საზოგადოების ლირსეული წევრები ვართ.

შეყვარებული თუ ვარ? აბა რა! უსიყვარულოდ ამ ქვეყანაზე არაფერი ხდება და არც მე ვარ გამონაკლისი. სიყვარულმა გამაკეთებინა ეს და ბევრ სხვა სასიკეთო საქმესაც გამაკეთებინებს. მწვერვალის დაპყრობა მივუძღვები ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს, ჩვენს საფიცარ სამშობლოს და რა თქმა უნდა ჩემს გულის სწორს, რომელსაც დრო მოვა და ხმამაღლა ვეტყვი —

**მიყვარება აააა!**

ფოტორეპორტაჟი იხილეთ გვ № 15-18

## 13 ნოემბერი უსინათლოთა სართაშორისო დღე

საქართველოს უსინათლოთა კავშირის და კრეატიულისტუ-დია ”iGeo”-ს ინიციატივით საქართველოშიც 13 მოემბერს აღინიშნას უსინათლოთა საერთაშორისო დღე. ეს თარიღი ცნობილი ფრანგი პედაგოგის ვალენტინ ჰაუის (Valentin Haüy) დაბადების დღეს უკავშირდება. მე-18-ე საუკუნემდე მსოფლიოში არ არსებობდა სასწავლო დაწესებულებები უს-ნიათლოთათვის. ჰაუიმ პირველმა დაარსა სკოლა უსინათ-ლო ბავშვებისთვის, სადაც სწავლება მის მიერ გამოგონილი სპეციალური შრიფტის მეშვეობით ხდებოდა. მან გამოსცა პირველი წიგნები უსინათლოთათვის, რომლებიც ემსახურე-ბოდნენ მათ, მანამდე, ვიდრე სხვა ფრანგმა ლუი ბრაილმა, ახალი, უფრო უნივერსალური შრიფტი გამოიგონა.

უსინათლოთა საერთაშორისო დღე საქართველოში პირ-ველად აღინიშნა.

უსინათლოთა დღის აღნიშვნა კრეატიული სტუდია ”iGeo”-მ პროექტ ”ვიმეგობროთ უსინათლოებთან” ფარგ-ლებში განახორციელა. კრეატიულმა სტუდიამ დონორების მხარდაჭერით თანამედროვე ქართველ მწერალთა ბრაი-ლის შრიფტით დაბეჭდილი პროზისა და პოეზის მცირე ან-თოლოგიები გამოსცა, მოაწყო უსინათლოთათვის გარემოს ადაპტაციის მხარდამჭერი აქცია, გამოფენა, უპრეცენდენ-ტო პროექტი ამიერკავკასიში, რომლის ფარგლებშიც შეზ-ღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო დათო ყვირ-ილიანმა ალპინისტურ წარმატებას მიაღწია.

შეხვედრაზე რამდენიმე ძირითადი პრობლემა გამოიკვე-თა

- 1 ქართულენოვანი ხმოვანი სინთეზატორის შექმნა
- 2 საგადასახადო კოდექსი
- 3 სამუშაო ადგილები უსინათლოთათვის
- 4 ფონიქალის უსინათლოთა კომპაქტური ჩასახლების ადგილას გზის საფარის მოწესრიგება - ზოგადად გარემოს ადაპტირება უსინათლოთათვის - მეტროსადგურები ავტო-ბუსის გაჩერებების მოწესრიგება და სხვა.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: უსინათლოთა კავ-შირის თავმჯდომარე - რევაზ მაისურაძე უურნალ ”სინათ-ლის” რედაქტორი - ცირა ვეფხვაძე, კრეატიული სტუდია ”iGeo”-ს დირექტორი - გია ჯვარშეიშვილი, უსინათლოთა კავშირის თბილისის ფილიალის თავმჯდომარე - ლაშა ცაიშ-ვილი და სხვა.

შეხვედრაზე შედგა კრეატიული სტუდია ”iGeo”-ს ახა-ლი პროექტის პრეზენტაცია, რომელსაც სტუდია პროექტ ”ვიმეგობროთ უსინათლოებთნ” ფარგლებში გეგმავს. რო-გორც კრეატიული სტუდიის დირექტორმა გია ჯვარშეიშ-ვილმა განაცხადა, დაიბეჭდება უსინათლო ავტორთა შემო-ქმედება ბრტყელი შრიფტით, საზოგადოების თვალზილული ნაწილისათვის.

შეხვედრის ბოლოს, პირველ ქართველ მთამსვლელს დათო ყვირილიანს დამსწრე საზოგადოება ტაშით შეხვდა და მომავალი წარმატებები უსურვა.



# სამართლო პალაგოგიური დიაგნოსტიკა

მეორე ლექცია

პარლ კიონიგი

## მომორშლი დარღვევები, მართლები ადამიანი

ჩემო დიდად პატივცემულობ დამსწრენო!

გუშინ შევეცადეთ გამოგვერკვია სამკურნალო პედაგოგიური დიაგნოსტიკის სპეციფიკური ნიშან – თვისებები. სამკურნალო პედაგოგიური დიადნოსტიკა შევადარეთ ფსიქოლოგიურსა და სამედიცინოს. მივედით იმ არსებით დასკვნამდე, რომ სწორედ სამკურნალო პედაგოგიური დიაგნოზის ცხოველმყოფელ ნაწილს უნდა შეადგენდეს დიაგნოზის დამსმელის სრულიად გამართლებული სუბიექტური არსება. თუ კი ნაცადი იქნება სამკურნალო პედაგოგიური დიაგნოზის „ობიექტურად“ დასმა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაშინ უნდა ითქვას, რომ ასეთი რამ საერთოდ არ არსებობს. ყოველ დიაგნოზზე გავლენას ახდენს მისი დამსმელი, უფრო მეტიც, იგი გარკვეული გაგებით თავადაა იმის ნაწილი, ვისაც დიაგნოზს უსვამს. შეუძლებელია თავი დავაღწიოთ ამ მდგომარეობას იმ რწმენით, რომ არსებობს ობიექტური დიაგნოზი — ვთქვათ, კვლევის ამა თუ იმ მეთოდით მიღებული.

ჩვენ თავად უნდა ჩავერთოთ დიაგნოზში და მხოლოდ მაშინ, როცა შევიმეცნებთ ამას და შევეცდებით ამგვარი შემეცნებიდან ვიმოქმედოთ, მივუახლოვდებით იმას, რასაც სამკურნალო პედაგოგიური დიადნოსტიკა შეიძლება ვუწოდოთ.

როგორც ვთქვით, ადამიანი არის ყველაფრის საზომი, ამ ფაქტს ვერ გავექცევით. ძალიან საინტერესოა, რომ ბავშვთა ისეთი ფსიქიატრები, როგორიცაა თრამერი, ლუტცი, ხაზს უსამენ, რომ სამკურნალო პედაგოგიური დიაგნოზი მრავალფაქტორული უნდა იყოს. წაგიკითხავთ ნაწყვეტს ლუტცის სახელმძღვანელოდან (j.lutz, kinderpsychiatric, Zurich und Stuttgart, 1964) იგი ამბობს:


“კვლევის დღევანდელი შეხედულებების შესაბამისად ბავშვთა ფსიქიატრია მიღრეკილია მრავალგანზომილებიანი (თრამერი) მრავალფაქტორული დიაგნისტიკისაკენ და უმრავლეს შემთხვევაში უარს ამბობს ერთ სიტყვიან განსაზღვრებაზე. იგი ცდილობს, შეცვალოს ისინი დაახლოებით ამგვარი ფორმით: „უკანონოდ შობილი, უარყოფილი. დაბადებიდან ჭკუასუსტი (იმბეცილი) გოგონა პუბერტეტის ასაკში“. ანდა „რეგრესიული ქვეშაფისი დამიტონებით ნევროპათიისკენ მიღრეკილი სიჯიუტის ფაზაში მყოფ ბავშვთან დის დაბადების შემდეგ“. ან „მტირალა, ჰიპოქონდრიული სისუსტეების მქონე მონაფე თავის ტვინის დაზიანების შედეგებით პენსიონერი მშობლების მყოლი“. 6

ეს მნიშვნელოვანია, რადგან აქ ნაცადია ის, რაც ჯერაც არ ძალუძთ: ნამდვილად ყოვლისმომ-

ცველი სამკურნალო პედაგოგიური დიაგნოზის დასმა. ამისათვის ცდილობები, და სავსებით სამართლიანად, წარმოადგინება და გინონ ამგვარი ბავშვის ან ახალგაზრდის სოციალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სამკურნალო პედაგოგიური ფონი. რისთვისაა ეს აუცილებელი? იმისთვის, რომ სხვადასხვა მიმართ ულებით

ამგვარი კვლევის გარეშე საერთოდ ვერ დავიწყებთ ბავშვის წვდომასა და გაგებას მისი ცხოვრებისეული მდგომარეობის, ქმნადობისა და განვითარების გათვალისწინებით.

მე შევეცადე მეჩვენებინა თქვენთვის: ყოველი სამკურნალო პედაგოგიური დიაგნოზისათვის უნდა მოვიპოვოთ ძალზე ფართო საფუძველი, რომელიც აღვნიშნეთ როგორც ბავშვის ყოვლისმომცველი ანთროპოლოგია. იგი არის პანორამა, რომელიც გამუდმებით უნდა თან ვატაროთ, თუკი გვსურს გავუგოთ ბავშვს — იქნება ის ჩამორჩენილი, ჭკუასუსტი თუ ჯანმრთელი. აქ დიაგნოზის დამსმელმა უნდა გაბედოს და აჩვენოს, თუ რას სწვდა ბავშვის ყოვლისმომცველი ანთროპოლოგიის ურთიერთკავშრებიდან. მან ბავშვის ჭვრეტით, მოსმენით, განცდით უნდა ისწავლოს, თუ რომელი მელოდიის — მათი რიცხვი კი უსასრულოა — დაკვრას აპირებს ამ ყოვლისმომცველ კლავიატურაზე. მე ვამბობ „აპირებს“, ვინაიდან ყველასათვის, ვინც ცდილობს ამგვარი ბავშვის შესახებ მსჯელობას, სხვადასხვა იქნება ეს მელოდია. ამ კლავიატურაზე ექიმი პედაგოგისგან, ფსიქოთერაპევტი სამკურნალო პედაგოგისგან, მუსიკოსი შრომის მასწავლებლისგან განსხვავებულად დაუკრავს, მაგრამ მათ რომ სხვადასხვაგვარი მელოდიები ერთმანეთს შეუწყონ, ამის საშუალებას მხოლოდ ქმედითი სამკურნალო პედაგოგიკა იძლევა. არაფრის მომცემი იქნება ექიმმა რომ თქვას, მხოლოდ ჩემი დიაგნოზია სწორი. მასწავლებელმა კი შეეპასუხოს, არა, ჩემიო. ვინაიდან ექიმი სხვაგვარად ისმენს ამგვარ ბავშვს, ვიდრე მასწავლებელი ხედავს მას, ან მკურნალი პედაგოგი სინჯავს; მხოლოდ ერთად ქმნიან ისინი დიაგნოსტიკურ სიმფონიას, რომელშიც ბავშ-



ვის ინდივიდუალობა იწყებს გამოჩენას. ამ გზით ბავშვი არა მარტო დაკვირვების ობიექტი ხდება, არა ამედ უკვე დიაგნოზის დასმისას ხდება თერაპიული დახმარება და ბავშვის ჩამოყალიბება.

როცა დიაგნოზის დასმისას, იქნება ეს ფსიქოლოგიური, სამედიცინო, სამკურნალო პედაგოგიური თუ სხვა რამ, ჩვევად იქცევა არა აბსოლუტური დასკვნის გამოტანა, არამედ მარტო დენ სუბიექტური ინტერპრეტაცია, რომელშიც შემმეცნებელი ისევე მონაწილეობს, როგორც დიაგნოზის ობიექტი. მხოლოდ მაშინ ხდება შესაძლებელი გონივრული მოქმედება და ჩარევა. ვინაიდან მხოლოდ ამ დროსაა შესაძლებელი ბავშვისა და მკურნალის, ავადმყოფისა და ექიმის, მკურნალ პედაგოგისა და აღსაზრდელის საერთო ბედის წარმოშობა. ამ საუკუნის განმავლობაში ადამიანების გულებსა და გონებაში სულ უფრო და უფრო უნდა განვითარდეს ცოდნა: მე, როგორც აღმზრდელი, სუბიექტური უნდა ვიყო, ვინაიდან თუმცალა შესაძლებელია ობიექტურობის მოაზრება, იგი არაა ქმედებისას ხელმისაწვდომი. როცა თერაპიულ, პედაგოგიურ ან სამკურნალო პედაგოგიურ ხდომილებაში ჩავერთვები, როგორც “ყოველივეს საზომი”, რამდენადაც ადამიანი ვარ, მაშინ აქედან სწორი რამ წარმოიქმნება.

აქ საქმე ეხება ბავშვის ანთროპოლოგიის მრავალფეროვნების მოსინჯვას, ძირეული ხატების პოვნას. რაც უფრო მეტად ვსწავლობთ მას, მით უფრო მეტი ოქტავა ჩვენს განკარგულებაში იმ კლავიატურისა, რომელზეც ვუკრავთ. თუ ვსაუბრობთ მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიაზე ან ნერვულ — კუნთურ სისტემაზე, მაშინ ჩვენს განკარგულებაში კლავიატურის მხოლოდ ძალზე მცირე მონაკვეთია. ხოლო თუ ბავშვის მთელ ზრდა-განვითარებას მივაცყრობთ მზერას, გავცდებით დაბადებას, თვალს მივადევნებთ განვითარებას დედის მუცელში, შევისწავლით ემბრიოლოგიას, მაშინ შევიმუშავებთ ხატებას, რომელთა გამოყენებაც შეგვიძლია შესაბამის მომენტში.

მოგიყვანთ მაგალითს: დაუნის სინდრომს მხოლოდ მაშინ გავიგებთ, თუ დაბადებამდელმი გადავინაცვლებთ და შევნიშნავთ, რომ ყოველი ამგვარი ბავშვი ემბრიონულ თვისებებს ატარებს.

როგორ გაიგებდით, მაგ., კურდღლის ტუჩს, რომ არ გცოდნოდათ ემბრიონული გამოკვლევებიდან, რომ ადამიანის სახე სხვადასხვა ნაწილებისაგან აიგება, როცა მათი ურთიერთდაკავშირება არ ხდება, სრულყოფილად არ ხდება, მაშინ რჩება ნაპრალი, მაგ., ტუჩებზე ან სასასა და ყბაზეც კი.

ან ავიღოთ ისეთი შემთხვევა, როგორიცაა ჰიპერტელორიზმი, რომელსაც გერმანიაში თითქმის არ იცნობენ. მთელი სახე შუაში განიერია, ორივე ნესტო თითქმის არ უერთდება ერთმანეთს, თვალები განზეა, როგორც ცხენთან. თუ იცით ემბრიოლოგია, მაშინ გეცოდინებათ: ემბრიონული განვითარების სრულიად გარკვეულ მომენტში, გარკვეულ კვირას, ემბრიონის სახე ამგვარად გამოიყურება. აქ ჯერ მთლიანად არ მომხდარა ის გამთლიანება, რის შედე-

გადაც წარმოიქმნება ადამიანის სახე. სამაგიეროდ სახეზეა ასე ვთქვათ, სურათ – ხატები განვითარების საწყისი პერიოდიდან. ეს ადამიანები არა მარტო ფიზიკურად, არამედ მთელი მშვინვიერ – ემოციური სტრუქტურითაც ისე არიან ჩამოყალიბებულნი, რომ ამ პირველყოფილი ხანის თვისებებს ატარებენ.

დაბადების შემდგომი პერიოდის საკვლევად უნდა იცოდეთ, მაგ., ის, თუ როგორ აღწერდა რუდოლფ შტაინერი ბავშვის სიცოცხლის პირველ სამ წელინადს: თუ როგორ დგება ის ფეხზე და აღმართვისას როგორ უვითარდება მოტორიკა; თუ როგორ წარმოიქმნება ამ მოტორული განვითარებიდან სამეტყველო მოტორიკა, რის წყალობითაც მიბაძვის შედეგად შესაძლებელი ხდება დედაენის ათვისება: თუ როგორ ჩნდება მეტყველებასთან ერთად წარმოდგენისა და აზროვნების პირველი ფორმები. ზოგადი მოტორიკიდან სამეტყველო მოტორიკა აღმოცენდება, ბოლოს კი აზროვნების მოძრაობები. და თუ ეს მკურნალი პედაგოგისთვის არაა გასაგები, მაშინ რა უნდა ედოს მის დიაგნოზს საფუძვლად?

აბა დაფიქრდით იმაზე, რომ სამი წლის ასაკის შემდეგ ბავშვს ნელ-ნელა უნდა განუვითარდეს მარჯვენა-მარცხენის ორიენტაცია, აქედან კი ხელის, ფეხის, თვალისა და ყურის დომინანტობა უნდა აღმოცენდეს; მხოლოდ ამის შედეგად შეიძლება მოხდეს სივრცეში და საერთოდ სამყაროში ჩართვა. პატივცემულობამ დამსწრენო, ამის უგულვებელყოფა და პრაქტიკაში არ გამოყენება ნიშნავს ადამიანის განვითარების ანთროპოლოგიის არასრულყოფილად აღწერას.

თუ კი არ შეიგრძნობთ, რას ნიშნავს, რომ ადამიანი ღიმილს ინყებს იმ წუთას, როცა სამყაროსაკენ მიიქცევა, თუ კი არ ცდილობთ, რამდენადმე მაინც სწვდეთ ღიმილის დაუჯერებელ მრავალფეროვნებას — მისალმების, სირცხვილის, შიშის, მისწრაფების, უკუგდების, ირონიის ნიუანსებს და მრავალ სხვა შესაძლებლობას, რომელსაც გამოხატავს ღიმილი — მაშინ როგორ გინდათ სწვდეთ სპასტიკური ბავშვის ღიმილს? ანდა თუ არ გაინტერესებთ სიცილისა და ტირილის, ყვირილის, ღრიალის ანთროპოლოგია — ყოველივე ეს ხომ სამკურნალო პედაგოგიურ დიაგნოსტიკას განეკუთვნება.

დაკვირვება გარემოზე, მამის, დედის, და-ძმების, ბებია-ბაბუუების, დედაენის, ხალხის, იმ ოთახის, სა-დაც ადამიანი იზრდება, კლიმატური პირობების, ლანდშაფტის ან მისი არ არსებობის გავლენაზე — ყოველივე ეს აუცილებელი საფუძველია ყოვლის-მომცველი სამკურნალო პედაგოგიური დიაგნოსტიკისა.

თითოეული ადამიანის ცხოვრების ხალიჩა უსაზღვროდ მრავალფეროვანია და მძლავრია. კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, რომ სამკურნალო პედაგოგიური დიაგნოსტიკის განვითარება არის კლავიატურის დაუფლება და შესაფერის მომენტში სრულიად განსაზღვრული ტონის სწორად აღება.

ახლა მივუბრუნდეთ დღევანდელ თემას და განვიხილოთ მოტორული დარღვევები. ჩვენ არ ვაპირებთ სამედიცინო დიაგნოსტიკაში ჩაღრმავებას.

**ჟურნალის ვებგვერდია: [www.imedipliusi.ge](http://www.imedipliusi.ge)**



ამრიგად, საუბარი არ იქნება იმაზე, სახეზეა თუ არა თავის ტვინის ამა თუ იმ ნაწილის დაზიანება. ამჯერად ეს არაა მთავარი. ჩვენ გვსურს მხოლოდ და მხოლოდ ფენომენების დაკვირვება, გორეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ: ნურაფერს ეძიებთ ფენომენების მიღმა, ისინი თავად არიან მასწავლებლები. ამრიგად ჩვენ გვინდა განვიხილოთ მოტორიკა როგორც მთლიანობა.

ბავშვის მოტორიკის ანთროპოლოგია ძალზე ვრცელი სფეროა. დამწყებ მეურნალ ჰედაგოგს უკეთესს ვერას უურჩევთ გარდა იმისა, რომ არ გამორჩეს მხედველობიდან, თუ როგორ მოძრაობს ბავშვი. არა მხოლოდ ზედაპირულად დაუკვირდეს და თქვას: იგი იდნა მოუხერხებელია, ან მოუსვენარია, არამედ ეცადის შექმნას მოტორიკის ფაქტობრივი ხატი, ვინაიდან იგი, ადამიანის მთლიანი მოძრაობა, მისი პიროვნებისა და ინდივიდუალობის გამოხატულება არის. პატივცემულო დამსწრენო, პირველი ჩასუნთქვიდან ბოლო ამოსუნთქვამდე, დილიდან საღამომდე სახეზეა მოტორიკა. ჩვენ გამუდმებით მოტორიკის საშუალებით გამოვხატავთ თავს, შეუძლებელია, რომ ჩვენ მოტორიკაში არ გამოვხატოთ თავი სიარულისას, მეტყველებისას, მოძრაობისას, წერისას, კითხვისას, ქუჩის გადაჭრისას, ადგომისას, ჭამისას, ყველაფერში, რასაც დილიდან საღამომდე ვაკეთებთ. ჩვენ მუდამ მოქმედებაში ვართ. მოტორიკის საოცრება ისაა, რომ იგი არა მარტო აქტია, არამედ ყოველ მოტორულ აქტში ცხადდება მისი განმახორციელებლის ფიზიოგნომიაც. იმიტომაც არსებობს მიმიკის გრაფოლოგია, მოძრაობის ფაზიოგნომია, მოძრაობის ფორმები, რომელიც უნდა შევისწავლოთ.

თითოის ყოველი მოძრაობა, თავის ყოველი მოძრაობა, ყოველი ქესტი, ყოველი მოძრაობა, რომელიც მეტყველებას ახლავს თან, ჭიქა წყლის აწევა, ნაბიჯის გადადგმა არის ინდივიდუალობის გამომზეურება. ადამიანი მაშინ ხდება ნამდვილი მსახიობი, როდესაც არა მარტო შესაბამის სამოსს იცვამს, არამე ამ სამოსში საკუთარი მოტორიკის ახლებურად დაუფლებას სწავლობს. მსახიობისათვის უმნიშვნელოვანესია საკუთარი მოტორიკის ისე დაუფლება, რომ მოტორიკამდე ჰქონდეს გამჯდარი ცბიერის, მოხუცის თუ ახალგაზრდა შეყვარებულის როლი. თუ თქვენ მშვენიერ სიტყვებს ამბობთ, ხელები კი უმოძრაოდ გაქვთ, არავინ დაგიჯერებთ. ჭეშმარიტება მთლიანი მოტორიკით უნდა გამოხატოთ.

ადამიანის მოტორიკის რეგისტრაცია და მისი დიაგნოსტირება ნიშნავს მის არსებობასთან ნამდვილად მიახლოებას. გლუკია თუ კუთხოვანი, დაძაბულია თუ მოდუნებული მისი მოძრაობები, მოუხერხებელია იგი და ლურსმნის მიჭედებისას ჩაქუჩის თითებზე ირტყამს, თუ შეხედვის გარეშეც შეუძლია ყველაფრის მონესრიგება? ყოველივე ეს არსების გამომზეურებაა მოტორიკაში. სხვა გამომზეურებებიც არსებობს, მაგრამ ამჯერად მოტორიკაზე ვსაუბრობთ.

თუ გვსურს მოტორიკის ძირეული სურათსატების შექმნა, მასში გარედან კი არ უნდა შე-

ვიტანოთ წესრიგი, არამედ თავად მოტორიკიდან უნდა მოვიპოვოთ გაგება მოტორული მოვლენისა. მოტორიკის საფუძვლიან გაგებას მხოლოდ მაშინ შევძლებთ — და აქ მივუთითებ ერთ მნიშვნელოვან ურთიერთმიმართებაზე — როცა მას შევხედავთ როგორც მუსიკალურ მოვლენას. ახლა იმას დაწვრილებით ვერ შევეხები, მაგრამ მაინც მინდა რამდენადმე დაგანახოთ მოტორიკისა და მუსიკის ეს იდენტურობა.

როდესაც ბავშვი სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში იწყებს აღმართვას (რაც ზემოდან ქვემოთ მიმართულებით ხდება), როდესაც თავს სწევს და ნელ-ნელა თავისუფლად ამოძრავებს მას, როცა ხელებს ეყრდნობა, ზურგს ძაბავს და სწავლობს დაჯდომას. როცა საბოლოოდ ფეხებს მიწაზე დგამს და აცნობიერებს თავის აღმართულ დგომას, მაშინ ბავშვი ივითარებს თავის “მოტორული მუზიკირების” ინსტრუმენტს. ეს ინსტრუმენტი შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორც ვიოლინო, ჩელო ან სხვა რამ. ძველ დროში ეს კარგად იცოდნენ. არსებობს ადამიანის არქაული გამოსახულებანი, რომლებზეც შეინიშნება, რომ მაშინ გაცნობიერებული ჰქონდათ: თავი და ტანი არის “ინსტრუმენტი”. პირველი რაც უნდა გავარჩიოთ, ეს ვერტიკალურად მგდარი ინსტრუმენტია, რომელიც სიცოცხლის პირველი წლისას იძენს ამ ფორმას, რომლითაც ბავშვი სწავლობს წონასწორობის შენარჩუნებას სიმძიმის ძალების მოქმედებისას. ეს ჯერ არც არის მოძრაობა, არამედ დგომის მანერა.

ამავე პერიოდში ბავშვი იწყებს მოძრაობასაც. მას უვითარდება კუნთური ტონუსი, რომელიც შეიძლება იყოს ძალზე ძლიერი ან სუსტი. ძალზე მოდუნებული ან დაჭიმული. ეს დამოკიდებულია მოცემული ინდივიდუალობის განვითარებაზე ან ამ უკანასკნელის დარღვევაზე. დარღვევის სახე ამჯერად არ გვაინტერესებს. მაგრამ რას ნიშნავს კუნთური ტონუსის განვითარება? ეს ნიშნავს, რომ ამ ინსტრუმენტზე სწორად თუ არასწორად, დაჭიმულად თუ დუნედ გაიბება კუნთებისა და მყენების უამრავი სიმი. სიმების დაჭიმულობაზე დამოკიდებული, იქნება მოძრაობა დაძაბული თუ დაუძაბავი, უხეში თუ მოშვებული. ეს კიდევ სხვა რამა, ვიდრე თავად “საკრავი”, ჩვენ ვნებავთ, თუ როგორ ურთიერთმოქმედებს საკრავი და სიმების დაჭიმულობა. ახლა მოტორიკას შეუძლია დაინტერესოს ამგვარ ინსტრუმენტზე დაკვრა, წარმოიქმნება მელოდიები, რომელიც წარმოადგენენ მოძრაობის ყველა ამ ფორმას, რომელთაც ბავშვობისას და სიყრმისას კვლავ და კვლავ ვსწავლობთ, რათა საბოლოოდ ვფლობდეთ მათ და ვიყენებდეთ.

ეს ვრცელდება ბავშვობისა და სიყრმის მანძილზე სიცოცხლის შუა პერიოდამდე. ჩვენ ვარსებობთ იმით (როგორც შემოქმედებითი ადამიანები), რომ მუდამ ვცდილობთ მოძრაობის ახალ - ახალი ფორმების სწავლას და შეთვისებას. ასე მაგ., ცხოვრების გარკვეულ ჰერიოდში, როცა გვიჭირს და აღარ ვიცით, რა ვქნათ, შესაძლოა გადავწყვი-

ტოთ: ხვალიდან შევეცდები გამოვიცვალო სია-რული, ან შევეცდები რაიმე ხელსაქმე ვისწავლო, ან ხატვას ვისწავლი. ეს ხომ სხვა არაფერია, ვიდრე მოძრაობის ახალი ფორმების გამოღვიძება. ყოვე-ლივე ეს მოტორიკაა: საკრავი, სიმების დაჭიმულობა და მოძრაობის მელოდიების დაკვრა. თანამედროვე ფოზიოლოგიამ — არა სახელმძღვანელოებმა, არ-ამედ ნამდვილად თანამედროვე ფიზიოლოგიამ — ზუსტად იცის, მოტორიკა ცალკეული მოძრაობები-საგან, მაგ., რეფლექსებისაგან — კი არ არის აგებული, არამედ “მელოდიებისაგან” შედგება. კერძოდ, მოძრაობის ფორმებისაგან. როცა მსურს ერთი ჭიქა წყლის აღება, ამ პროცესს ცალკეული მოძრაობები-საგან კი ვერ შევადგენ, არამედ ჩემი მოტორული არსება თითებიდან თავამდე წინააღმდეგობას უწევს მოძრავ ხელს და ასე ნარმოიქმნება მოძრაობის ფორმა. როცა ამგვარ მოძრაობის ფორმებს ადგილი არა აქვს, ე.ი. როცა არ ხერხდება სხეულის ინსტრუ-მენტზე მელოდიების დაკვრა, მაშინ ვსაუბრობთ მო-ტორიკის დარღვევაზე ან განუვითარებლობაზე.

პირველ რიგში შევხოთ ცერებრულ დამბლებს (აქ პირველ რიგში შედის სპასტიკული დამბლების დიდი ჯგუფი) უკვე საუკუნეებია, რაც დაახლოებით ათასი ახალშობილიდან ორი ცერებრული დამბლის მქონეა. ნაცადი იყო სხვადასხვა ფორმების გარჩევა და დიფერენცირება. ეს ძალზერთული აღმოჩნდა, ვი-ნაიდან ყოველი ცერებრული დამბლის მქონე ბავშვი ამავე დროს ინდივიდუალობაა. მრავალ ათას ამგვარ ბავშვს შორის, ფელფსის სიტყვებით რომ ვთქვათ, “ერთსაც ვერ ნახავთ, მეორის მსგავსი რომ იყოს”. მაგრამ ზოგადად სპასტიკულ ბავშვებში ვსაუბრობთ ტეტრაპლეგიაზე, ჰემიპლეგიაზე და პარაპლეგიაზე.

უმრავლესობა, ალბათ, მეტ-ნაკლებად იცნობთ ამ გამოთქმებს. ჰემიპლეგია ვრცელდება ერთ მხ-არეზე, კერძოდ მარჯვენა ან მარცხენაზე. პარაპლე-გია, ჩვეულებრივ, ორივე ქვედა კიდურზე. ტეტრა-პლეგია არის დამბლა, რომელიც ოთხივე კიდურს, სხვა სიტყვებით, ადამიანის ნებსითი მოძრაობების მუსკულატურას მოიცავს.

იოლია თქმა იმისა, რომ ერთ ბავშვს პარაპლე-გია აქვს, მეორეს კი ჰემიპლეგი ან ტეტრაპლეგია, მაგრამ თუ გვსურს ამის ნამდვილად გაგება, უნდა ვიცოდეთ : ჰემიპლეგია არის მარჯვენა-მარცხენის ურთიერთობის დარღვევა, პარაპლეგია ზედა-ქვე-დას ურთიერთობის დარღვევა, ტეტრაპლეგია, რო-მელიც ყველაფერს მოიცავს, წინა-უკანას ურთიერ-თობის დარღვევა.

ამ მომენტში, როდესაც ამდაგვარად ვსაუბრობთ, ვინყებთ იმის შემჩნევას, რომ ჰემიპლეგიას, პარა-პლეგიას, ტეტრაპლეგიას საქმე აქვს არა იმდენად ცერებრულ ლოკალიზაციასთან (ანუ თავის ტვინში დაზიანების კერასთან), არამედ ადამიანის ჩართუ-ლობასთან სამ განზომილებიან სივრცეში. პარაპლე-გიის მქონე არაა ჩართული ზედა-ქვედა განზომილე-ბაში, ჰემიპლეგიის მქონე მარჯვენა-მარცხენაში, ტეტრაპლეგიისა კი წინა-უკანაში. თუ ამას ვთანხმ-დებით, მაშინ შესაძლებლობა გეძლევათ ამგვარი დი-

აგნოზიდან გადახვიდეთ სამკურნალო პედაგოგიურ ვარჯიშზე. კერძოდ, შეეცდებით ჩართოთ პარაპლე-გიის მქონე ზედა-ქვედა განზომილებაში. ჰემიპლე-გიისა — მარჯვენა-მარცხენაში, ტეტრაპლეგიისა კი წინა-უკანაში.

მაშინ, გვაქვს ეს სამი, თავიდან ყოვლად გაუგე-ბარი ფორმა. მათ შესაცნობად ერთ რამეს გეტყ-ვით, რაზეც შესაძლოა გაგელიმოთ, მაგრამ რაც ჭეშმარიტებას შეიცავს, თუმცალა სუბიექტურს, გარკვეულწილად, ჩემს სულელურ ჭეშმარიტებას. ხომ გესმით რასაც ვგულისხმობ.

ყოველი ახალშობილი არის ცერებრული დამბლის მქონე ბავშვი. მას არ შეუძლია არც სიარული, არც დგომა, არც ჯდომა, არც რაიმე სხვა. სანამ ჩვენთვის ნათელი არ გახდება, რომ ყოველი ჩვენთაგანი ოდეს-ლაც ცერებრული დამბლის მქონე იყო, რომელმაც ნაბიჯ-ნაბიჯ შეძლო ამ დამბლის დაძლევა აღმარ-თული დგომის, მეტყველებისა და ა.შ. დაუფლება, იქამდე ვერ მივხვდებით, თუ რაშია საქმე ამგვარ ბავშვებთან. აქ გვიან ასაკში ვლინდება ის, რაც ჩვი-ლობის ასაკს ეკუთვნის. ეს წინავს, რომ თვალწინ უნდა გვქონდეს ბავშვის განვითარების ანთრო-პოლოგია როგორც პანორამა, არა ნევროლოგიური დარღვევის კვლევა — ეს სამედიცინო დიაგნოზს უნდა მივანდოთ, რომელიც ასევე აუცილებებლია. არეამედ, როგორც მკურნალმა პედაგოგებმა. თუ გვსურს დამბლიანი ბავშვის წვდომა, უნდა დავინ-ახოთ, რომარსებითად ეს ბავშვი მავესტილშია, რო-მელიც ჩვენ ყველამ გავიარეთ, სწრაფად თუ ნელა, დაბადების შემდეგ. თუ გავცდებით დაბადებას, ვთქვათ, ავიდებთ ემბრიონული პერიოდის მეორე-მესამე თვეებს, ვნახავთ, რომ მაშინ საერთოდ არ გაგვაჩნდა კიდურები. თვით დაბადებისასაც კი თავ-სა და კიდურებს შორის ისეთი თანაფარდობაა, რომ ვერაფრით ვერ მოხერხდებოდა სიარული, გინდაც ჰიპოთეტურად შესაძლებელი იყოს. ვინაიდან ახალ-შობილის დიდი თავისა და ერთი ბეწო კიდურების თანაფარდობა წინავს იმას, რომ მთელი ნერვულ-შეგრძნებათა სისტემა იმდენად გადასწონის, რომ კიდურებს არ აქვს სიარულისა და დგომის შესაძლე-ბლობა. სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში კიდურები გაცილებით სწრაფად იზრდება, ვიდრე თავი და ეს “ეხმარება ბავშვი გახდეს დედამიწისათ-ვის მომწიფებული” — აქ რუდოლფ შტაინერის გა-მოთქმას ვიყენებ, რომელმაც მივგითითა ამ ხატზე. იქნიონ და გამოიყენო კიდურები — წინავს გახდე დედამიწისათვის მომწიფებული, ხოლო ცერებრული დამბლის მქონე ბავშვი, როგორც ხედავთ, ვერ მომ-წიფება დედამიწისათვის, არასაკმარისად გაშლის საკუთარ თავს — ვინაიდან მისი კიდურები არ გამო-დის ჩვილობის სტრუქტურიდან. რას წინავს ეს?

ზემოთ ვსაუბრობდით ბავშვის სხეულის “ინ-სტრუმენტზე” და მის მიმართებაზე მოქმედებას-თან. დარღვევა, რომელსაც ატაქსიას (წონასწორო-ბის რეგულაციის უუნარობა) ეძახიან, არ იძლევა ამ ინსტრუმენტის სრულყოფილი ჩამოყალიბების შესაძლებლობას. აქ ვერ ხერხდება წონასწორობის

მოპოვება, უფრო ზუსტად, ჩვენს სხეულებრივობაში სიმძიმის ძალის ჩართვა.

ატაქსის მქონეს უხდება საკუთარი მოძრაობისა და შეხების გრძნობების დახმარებით კვლავ და კვლავ ხელახლა მოიპოვოს ის, რაც ჩვენთვის ბუნებრივადაა ხელმისაწვდომი, კერძოდ, აღმართული დგომი. ეს ნიშნავს, რომ ატაქსის მქონე არის ბავშვი, რომელმაც შესაძლოა 9-10 თვის ასაკში დაიწყოს კედლის გასწვრივ ან სხვა რამის მიშველებით სიარულის სწავლა, მაგრამ 12, 13, 14 თვის ასაკშიც კი ვერ შეძლოს წონას სწორობის დაცვა და სიმძიმის ძალების გადალახვა.

სპასტიკური არის ადამიანი, რომლის ინსტრუმენტიც თუმცადა შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს, მაგრამ მისი სიმძიმი არასწორად არის დაჭიმული, რის გამოც ვერ მიდის მოძრაობის ფორმამდე, მელოდიის შექმნამდე. როცა მხოლოდ ხელებია დაზიანებული, კიდევ არა უშავს, მაგრამ როცა ხელ-ფეხი ან ფეხებია დაზიანებული, ინსტრუმენტს სიმები იმდენად სჭიმავენ — სწორად გამიგეთ — რომ ადამიანი კი მსჭვალავს თავის სხეულს, მაგრამ სხეულის საშუალებით სივრცეში ვეღარ გადის.

პარაპლეგიის მქონე ვერ ერთვება სიმძიმე - სიმუშექეში, ზედა - ქვედაში. ტეტრაპლეგიისა წინა და უკანას ურთიერთობაში, ჰემიპლეგიის მქონე მარცხენა - მარჯვენას ურთიერთმიმართებაში. სივრცის ეს მიმართულებანი არაა თანაბარმნიშვნელოვანი. ამაზე ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ. ზედა - ქვედას სულ სხვა თვისებრიობა გააჩნია ვიდრე წინა - უკანას და მარჯვენა - მარცხენას. აი, ასე ცოცხლდება დიაგნოზი.

რაშია საქმე ათეტოზისას (მოძრაობის დარღვევა მუდმივად ცვალებადი უნებლიერ ზედმეტი მოძრაობით), ადამიანთან, რომელსაც დგომაც შეუძლია, მოძრაობაც, მაგრამ ვისი მოძრაობებიც მუდამ იმპულსებით იმსჭვალება, რომელიც გარკვეულილად მისი არ არიან? შეიძლება ვთქვათ, რომ ათეტოზით დაავადებული არის ადამიანი, რომელიც მედან გამომდინარე კი არ მოძრაობს, არამედ “იგი” — დან. მას არ აქვს შესაძლებლობა. დაეუფლოს თავისი მოძრაობის მიმდინარეობას. როდესაც სურს რაიმეს ხელი მოჰკიდოს, უცებ მოიცავენ მოძრაობის ყველანაირი იმპულსები, რომელიც თუმცადა მისია, მაგრამ არაა მედან აღმოცენებული. როდესაც მეტყველება სურს, მას ეუფლება მისი მეტყველების ორგანოები ნაცვლად იმისა, რომ თავად დაეუფლოს მათ. ეს სხვა არაფერია, გარდა მრავალჯერ სახეცვლილი მოძრაობისა, რომელთაც ასრულებს ყოველი ჩვილი ბავშვი, როცა ფეხებს ასავსავებს. ფეხების სავსავი არის ბუნებრივი ათეტოზი, ისევე როგორც ბუნებრივი სპასტიკიზმია პატარა ბავშვის მთლიანი “ჰარმონიული დამბლიანობა”, რომელიც შემდგომში მეს ძალებით გადაილახება ინსტრუმენტის ჩამოყალიბების, სიმების დაჭიმვის, მელოდიების დაკვრის გზით, მელოდიებისა, რომელიც მოძრაობის ფორმები არიან.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება ამ თემის ირგვლივ, მაგრამ დასასრულისთვის ერთს ვიტყვი. როდე-

საც უყურებთ ბავშვს, რომელიც სპასტიკურია ან ათეტოზური, უყურებთ, თუ როგორ ზის ის თავის სკამზე და იღიმება, როგორ იცქირება, როგორ ცდილობს ადამიანისკენ მიბრუნებას, შეამჩნევთ, რომ ესა ადამიანი იზოლაციაში. ამგვარ ბავშვს არა აქვს დარღვეული კონტაქტის უნარი. მას კარგი ურთიერთობა აქვს მრავალ გარშემომყოფთან. და მაინც, ის მთლიანად მარტოსული არსება. ამიტომაც იყო ამ ლექციის ქვესათაური “მარტოსული ადამიანი”. იგი იმიტომ კი არა მარტო, რომ კონტაქტი არა აქვს სხვებთან, არამედ იმიტომაა მარტო, რომ მინიმალურად მონაწილეობს ყოველივე ამაში, რასაც დედამინა უშუალოდ გვაწვდის — სიმძიმეში, სინათლეში, ჰაერში, სითბოში, სივრცეში, სიცოცხლეში, უღერადობაში, ქმნადობასა და წარმავლობაში. ეს იმიტომ, რომ კიდურების მოქმედების დარღვევის გამო არაა ჩართული სამგანზომილებიან სივრცეში. ძალზე საინტერესოა გაგება იმისა, თუ რამდენად ურთიერთგანსხვავებულია დამბლიანი და ნორმალური ბავშვის წარმოდგენების ფორმირება. როცა ამგვარი ბავშვი სახლს ხატავს, იგი ფანჯარას სადღაც აქ ხატავს, კარებს სადღაც იქ. როცა ადამიანს ხატავს — ხელი თავიდან გამოდის ან რაიმე ამდაგვარი. ამას არაფერი აქვს საერთო დამბლიანი კიდურების არსებობისას ქალალზე ფორმის დახატვის სირთულესთან. დარღვეულია ფიგურის წარმოდგენა, არ ხდება სხეულის სქემის ფორმირება, მთლიანად დანგრეულია საკუთარი სხეულის უშუალო შეგრძნება და ამიტომ ამგვარი ბავშვი ხშირად თითქოს ზღაპრის საოცარი სამყაროთია გარემოცული.

პატივცემულობა დამსწრებო. არსებობს ცნობილი მხატვრის, მარკ შაგალის, გამაოგნებელი ნახატი “მარტოკაცი” — მოხუცი ებრაელი თორას გრაგნილით ხელში ზის, უკან კი ძროხა ფარფატებს და ღრუბელი მოდის სადღაციდან. ამგვარი რამ ცხოვრობს ამ ბავშვშიც. სამყარო დახლეჩილია, ძროხები ცაში დაფარფატებენ, ჩელო სახურავზე დევს, ანგელოზის თავი ფეხებთან აქვს. ადამიანს ხელი მაგიდაზე დაუდვია, თვითონ კი წასულა. შაგალის მრავალ ფიგურას ექვსი, შვიდი, რვა თითო აქვს. ამას მისთვის არა აქვს მნიშვნელობა. ასევე როგორც სივრცის სტრუქტურიდან გამოვარდნილი დამბლიანი ბავშვისთვისაა უმნიშვნელო ამგვარი წვრილმანები. ამგვარი ბავშვის აღქმისათვის სადღაც ფარფატებს ცხოველი, სადღაც დედა ჩანს, მერე მამის თავი ჩნდება, კაცი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე პატარა სახლები. თუ ვიწყებთ ამის გაგებას, მაშინ ვწვდებით ამგვარი ბავშვის მარტობასაც. ამ წვდომიდან კი ვისწავლით მისთვის ზედა-ქვედას, მარჯვენა-მარცხენას, წინ-უკანას მხატვრულად, შემოქმედებითად მიწოდებას და მის “შესამე პირის-მიერ რეალობაში” (Es.Wirklichkeit), ცოტაოდენი იმის შეტანას, რასაც ის ვერ რთავს საკუთარ თავში და ამიტომაც წლების განმავლობაში მარტოსულ ადამიანად რჩება. ასე შეიძლება დავიწყოთ მოტორული დარღვევების განხილვა. მაშინ წარმოიშვება დიაგნოზიდან თერაპია, რომელსაც მე, როგორც ადამიანი, როგორც ყველაფრის საზომი, საკუთარ თავში ვატარებ.

# როგორ ავიცილოთ ნაწოლების ტარმოქმნა

ექიმი გვირჩევას

ვასტანგ თავსელიძე

ნაწოლები — წყლულებია (ქსოვილის ნეკროზი), რომლებიც შეიძლება ნარმოიშვას რბილ კანზე ძვლების ხანგრძლივი დაწოლის გზით. როდესაც ადამიანი ერთ ადგილზე, ხანგრძლივი დროის მანძილზე გაუნდრევლად წევს, სხეულის ის ნაწილები, რომლებიც ახლოა განლაგებული ძვლებთან, წითლდებიან და იმ ადგილზე იწყება ტკივილი. ეს ხდება ერთი მხრივ ძვლების, მეორე მხრივ საბნის დაწოლით. დაწოლის შედეგად წარმოიშვება კანის გალიზიანება და ანთება.

წყლულები უჩნდებათ არა მარტო იმ ადამიანებს, რომლებიც საწოლზე არიან მიჯაჭვულნი, არამედ მათაც, ვინც დიდ დროს ატ-არებენ სავარძელ-ეტლში. ეს ხდება იმიტომ, რომ სხეულის სიმძიმის გამო ორგანიზმის განსაზღვრულ ნაწილებზე, კერძოდ, დუნდულებზე ისინი განიცდიან მტკივნეულ დაწოლას.

ნაწოლები ადრეულ სტადიაში წითლად გამოიყურება, კანი ოდნავ შესიებულია, რომელიც არ ცხრება. თუ მკურნალობის გარეშე დარჩება, მაშინ დაზიანება დიდდება. ჩვეულებისამებრ, კანი იწყებს სკდომას, წარმოიქმნება ღია ჭრილობა, და იქმნება ინფექციის შეჭრის საშიშროება. ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ხანგრძლივად იმყოფება წოლით მდგომარეობაში, ეწყება ანთებითი პროცესი. ასეთი ავადმყოფების მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ხანდახან მტკივნეულ ადგილებზე წარმოიშობა ხახუნი და გალიზიანებები: ჰიგიენის დაუცველობა, შარდის და დეფეკაციის უნებლივ შეუკავებლობა, სისხლის მიმოქცევის დარღვევა, სისხლჩაქცევები და ჩალურჯებები, რომლებიც გამოწვეულია ლოგინში ნაწოლების გაჩენით, ძალიან ართულებს ავადმყოფის საერთო მდგომარეობას და მკურნალობის მიმდინარეობას. საერთოდ, ნაწოლები წარმოიქმნება იმ ადგილებზე, სადაც ძვალი იმყოფება პირდაპირ კანის ქვეშ. ყველაზე უფრო ნაწოლი წყლულების წარმოშობის ადგილებია ზურგის, ყურის ქვეშ, წელის, ბეჭის, იდაყვების, დუნდულების და ა.შ. ადგილები.



## როგორ არის აუცილებელი ეპიზოდის სახლში გამოძახვა

- მიუხედავად ჩატარებული სამკურნალო ღონისძიებებისა, სინითლემ და გაღიზიანებამ არ გაიარა ორი კვიორის მანძილზე;
- თუ ნაწოლის ირგვლივ კანი დაიღარა ან დასკდა;
- თუ გამომულავნდა ნაწოლების ინფიცირების, ქავილის, ტკივილის და ა.შ. ნიშნები;
- სხეულის ტემპერატურის მატების შემთხვევაში.

## ნაწოლების ნარმოზობის მიზანები

• ხანდაზმულობის ასაკი (ასაკის მატებასთან ერთად კანის ელასტიურობა მცირდება, ხდება შედარებით თხელი, და კანის კავშირი კანქვეშა ქსოვილთან ადვილად ირღვევა);

- ნონის დაკარგვა ან ზედმეტი წონა;
- პარალიზებული ან შაქრიანი დიაბეტის მქონე ავადმყოფების კანის მგრძნობელობის დაკარგვა;
- სისხლის მიმოქცევის დარღვევა;
- ანემია;
- ლოგინის თეთრეულის ნაკეცების წარმოშობა ან საწოლში ჰიგიენის დაუცველობა;
- მაღალი ტემპერატურა;
- ამაღლებული იფლიანობა, შარდისა და განავლის შეუკავებლობა;

## ნაწოლების პრიზილაპტიკა

ავადმყოფი არუნდაინვეს საწოლში ხანგრძლივად ერთ ადგილზე. თუ ადამიანს შეუძლია დამოუკიდებელი მოძრაობა, ყურადღება მიაქციობა იმას, რომ მან შეიცვალოს სხეულის მდგომარეობა ყოველ 15 წუთში. თუ მას არ შეუძლია მოძრაობა, შეუცვალეთ სხეულის მდგომარეობა თუნდაც ყოველ ერთ საათში. არ შიძლება საწოლის სასთუმალის დიდ ხნით მაღლა აწეული გაჩერება, რადგან ეს ამაღლებს კანის დაზიანების რისკს ავადმყოფის „ჩამო-

ცურვების” ხარჯზე. უნდა გამოვიყენოთ სპეციალური მატრასი, რომელიც ხელს უწყობს სხეულის სხვადასხვა მდგომარეობის მიღებას, კანზე ხახუნის შემცირებას. საჭირო მდგომარეობის მისაღებად მომცველი მოხერხებულად ამოუდებს ბალიშს. იდევების და ტერფების ქვეშ ამოსაფენად იყენებენ შალის საფენებს (მაგ. ცხვრის მატყლის ქსოვილს). ასეთი ქსოვილი ამცირებს დაწოლის ძალას და კანს ამარაგებს უანგბადით.

## უურადღება მიაჰდით:

- ლოგინის თეთრეული და ავადმყოფის საცვლები უნდა იყოს ნატურალური ქსოვილისაგან დამზადებული, რომელიც კარგად ითვისებს ნესტს. ლოგინის თეთრეულს არ უნდა ჰქონდეს ნაკეცები.

- ოფლის, შარდისა და დეფეკაციის სანგრძლივი ზემოქმედება აზიანებს კანის ზედაპირს.

- ავადმყოფი უნდა დაიბანოს დასაბანი კრემით. არ არის რეკომენდებული საპნით დაბანა. ის ძალიან ამრობს კანს.

- დაბანის შემდეგ ტანს გასმით არ ამშრალებენ. ამშრალებენ პირსახოცის დაფარებით და ხელის დადებით, რადგან გასმით გამშრალების დროს შესაძლებელია სველ კანზე ადვილად წარმოიქმნას გაღიზიანებები.

- კანის ტენიანობის შესანარჩუნებლად და შემდგომი დაზიანებისაგან დასაცავად დაბანის შემდეგ გამოიყენება სპეციალური კრემი.

- ავადმყოფის კვებაუნდა იყოს მრავალფეროვანი. უნდა შეიცავდეს ცილების საქმარის რაოდენობას. ცილები წარმოადგენს ორგანიზმის აღმდენელ ნივთიერებას და სასიცოცხლოდ აუცილებელია კანის ჯანმრთელი მდგომარეობის შესანარჩუნებლად. ნაწილები შეიძლება აგრეთვე გაჩნდეს ჩ ვიტამინის და თუთის ნაკლებობის გამო.



## ნაწოლების მკურნალობა

ნაწოლების მკურნალობის ყველაზე კარგი დროა ბუშტუკების წარმოშობის სტადია. მათი გამოვიძახოთ ექიმი და მოვემზადოთ ხანგრძლივი მკურნალობისათვის. წყლულის სიღრმის მიხედვით ანსხვავებენ ზედაპირულ და ღრმა ნაწოლებს.

ზედაპირული ნაწოლებისათვის დამახასიათებელია კანის ზედაპირული ფენის დაზიანება, სინითლის და კანის დაღარულობა.

შაქრიანი დიაბეტის მქონე ავადმყოფები, რომ-

ლებსაც გააჩნიათ მგრძნობელობის დარღვევა, ხშირ შემთხვევაში ვერ გრძნობენ ტკივილს ნაწოლების ღრმა წყლულის დროსაც კი: ამ მიზეზის გამო ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ მათ კანზე სინითლისა და სხვადასხვა დაზიანებების წარმოშობას. პატარა დაზიანება ან მცირე წყლულიც კი შეიძლება გახდეს განგრენის მიზეზი.

## გახსოვდეთ:

- სინითლის გამოვლენისთანავე უნდა განთავისუფლდეს დაწოლისაგან შესაბამისი ადგილი სინითლის გასვლამდე (დაკარგვამდე).

- აუცილებელია ჰაერის აბაზანების მიღება.

- კანზე ფრთხილად წავუსვათ დამარბილებელი კრემი და დაველოდოთ სანამ კრემი შეინოვება.

- დაზიანებული კანი დაცვის მიზნით უნდა დაიხუროს ჰიდროკოლოიდური სახვევით, მაგალითად თხელი გრანუფლექსით, რომელიც დაიცავს ღრმა წყლულის წარმოქმნისაგან.

- არ გავხეხოთ კანი.

- მოერიდეთ კანის გადაჭარბებულ ტენიანობას.

- არ გახსნათ პატარა ბუშტუკები. ისინი აუცილებლად უნდა შეახვიოთ ჰიდროკოლოიდური სახვევით, მაგალითად გრანუფლექსით.

## ღრმა ნაწოლების მკურნალობა

ღრმა ნაწოლებისათვის დამახასიათებელია არა მარტო კანის, არამედ უფრო ღრმა სტრუქტურების – კუნთების და ძვლების დაზიანებაც. საჭიროა იმის ცოდნა, რომ ხანდახან უფრო ღრმად განლაგებული ქსოვილი შეიძლება დაზიანდეს უფრო ადრე კანის დაზიანებამდე, მაგალითად, დაწოლის არასწორი განაწილების დროს. ღრმა ნაწოლების ინფიცირებისას მიმდინარეობს მათი დაჩირქება და ლპობა, რომლის დროსაც წარმოებს ავადმყოფის ორგანიზმიდან ცილების და სითხის დიდი რაოდენობით დაკარგვა. ასეთი ნაწოლების მკურნალობა შეიძლება თვეობით გაგრძელდეს და



ამიტომ ეს მდგომარეობა მოითხოვს კვალიფიციური ქირურგის დახმარებას სტაციონალურ პირობებში.

## მელოდიამა ორი პერსონაჟისათვის

ფაილი |

ნიკა: — ეხლა რომ ვიხსენებ, მაგრა ვკაიფობ. შორიდან ხომ ყველაფერი ლაითად ჩანს, მუღამიც სხვანაირი აქვს. დრო ყველაფერს უცვლის ფერს. გემოც ტკბება ძველი მურაბასავით. ამიტომაა გახსენება საკაიფო.

გვიყვარდა რა, მაშინ ასე კი გვეგონა, მაგრამ ცვეტში სიყვარულის აზრზე არ ვიყავით. ასეთ დროს უფრო შენი სურვილების დამკვიდრებაზე ფიქრობ, უფრო იასნად რო ვთქვა, შენი შესაძლებლობების დაზუსტებას ცდილობ. მუსიკალურ ათნლედში სწავლობდა რო გავიცანი. რატომდაც ეგეთი წიკები მქონდა - გოგოები მევასებოდა, მუსიკის ჩანთები რო ეჭირათ, არ ვიცი რატომ, ალბათ, მუსიკის პრაფანი რომ გარ. ხოდა ვხედავ გრიბოედოვზე ჩამოდის ვილაც დაქალთან ერთად, ორივეს ხელში სანოტო ჩანთა უჭირავს. რო დავინახე, ეგრევე გულმა რეჩხი მიყო, მომწოდა ეგეთი შილტივით გოგოები. ჩემთვის ვფიქრობ, როგორ გავიცნო, როგორ დავებაზრო.

იმ საღამოსვე “ადნაკლასნიკებში” გავჩითე. მესიჯი მივწერე. თან ჩემს საიტზე მაილს დევისის და თინა თერნერის ფოტოები დავდე, მეტი ნდობა რომ მომეპოვებინა. ცოტა ხნის შემდეგ მიპასუხა. ბევრი არაფერი, თავაზიანობს, თავს იფასებს, როგორც ყველა გოგო თავიდან. აბა სხვას რას იზამდა.

კაროჩე, ეგეთი გეგმა შევიმუშავე-ქალს არ უნდა აგრძნობინო, რომ მოგწონს, თორემ მარკებს აინევს. თავი ისე უნდა დაიჭირო, ვითომ ვერ ამჩნევ. მაგრა ჭრის. ერთი ცანცარა დაქალი ჰყავდა, ქეთი, ხოდა ვითომ იმას ვერავ. ხან ყვავილებს ვჩუქნი, ხან კაფეში ვპატიუებ, თანაც ხო ვიცი, ყველაფერს იმას უკაკლავს. ქალებს სხვანაირად არ შეუძლიათ. ვატყობ, მაგრა ეჭვიანობს.

სოფი: — თავიდან საერთოდ არ მომეწონა. ვერ ვიტანდი ეგეთ მასტებს, ძველობას რომ აწვებიან. რომ დავახლოვდით, მერე მივხვდი, როგორი სასაცილო იყო თავისი თავდაჯერებულობით, რა საყვარელი. რაღაცნაირი მზრუნველობის სურვილი გამიჩნდა. ალბათ ასე იწყება ყველაფერი, არ ვიცი. ვატყობ, მოვწონვარ, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება. მაგრამ არ იმჩნევს. პრიმიტიული ტაქტიკა აირჩია — ვითომ ჩემი დაქალი ევასება. მარიასობს, მაეჭვიანებს თავისი ჭკუით. მეც ავყევი, თანავუგრძნობ. თან ვითომ აბსოლიტურად არ მაღლევებს. ქეთი ყველაფერს მიყვება, ისიც კაიფობს. მაინტერესებს, რას იზამს. მამაკაცის და ქალის ურთიერთობის ბევრი არაფერი გამეგებოდა, მაგრამ მაგდენს უკვე ვტვინავდი. ვიცოდი, რომ კაცებს უნდა აპყვე თამაში, რომ არ დააფრთხო.

ნიკა: — ცოტა ხანში დავვახლოვდით. თითქმის ყოველდღე ვხვდებით. უკვე უერთმანერთოდ ვერ ვძლევთ. მაგრამ მაინც ის თავისას აწვება, მე — ჩემსას. ვერცერთი ვერ ვძედავთ პირველი ნაბიჯის

გადადგმას მარა კაცს მაინც სხვა პასუხისმგებლობა აკისრია. ქალი, როგორც წესი, პასიურია..

თუმცა ყველაფერს ისე ვერ დაგეგმავ, შენ რო ფიქრობ. ხანდახან რომ არ ელი, ზუსტად მაშინ ავარდება პონტი. მარა ამისთვისაც მზად უნდა იყო. ჩემი აწყობილი საქმე ლაითად რომ მიდის, ვგრძნობ, რომ მეტი მომდის. ის ქეთი უკვე სერიოზულად ფიქრობს. რას ნარმოვიდგენდი, ასე შტერი თუ იქნებოდა. პოდა ერთხელაც მეუბნება — ხომ იცი ჩემი ძმების ამბავი, ყველაფერს ამჩნევენ, ერთხელაც იქნება, მაგრა გამიფრენენ. როდემდე უნდა ვიაროთ ასე? მე თანახმავარ, სოფი მზადაა, მეჯვარედ გამოგვყვეს. მაგისი ძალადგველ ბიჭი ძმების ამბავი ნაკლებად მაფიქრებდა, მაგრამ ვატყობ, მაგრა შევტოპე. სხვა გზა არ იყო, ჩაირთო სათადარიგო “პროგრამა 2”. ასეთ დროს მთავარია, მოვლენების კონტროლი არ დაკარგო. გადავწყვიტე კარტები გამეხსნა.

სოფი: ვატყობ, უკვე თავში აქვს ავარდნილი, მომავალი წარმატებებით ტკბება. ეგენი თავიანთ წარმატებებს ხომ იოლად იჯერებენ. გადავწყვიტე, გადამზყვეტ ფაზაზე გადავიდე. უნდა ვაიძულო, გარდვევაზე წავიდეს. ქეთის ვუთხარი, როგორც უნდა მოქცეულიყო. იმანაც ეგრევე წინადადება წაუყენა. მოკლედ, არჩევანი არ დავუტოვე.

ნიკა: — წილი ნაყარი იყო. აღარ მახსოვს, მთან-მინდაზე ვიყავით თუ მუშტაიდში. იქ გავაიასწეთ ყველაფერი. გავაიასწეთ რა, მე ვლაპარაკობ, ის ჩუქად არის. მორცხვობს. ხანდახან დაბწეულად ილიმება, ეტყობა არ ელოდა.. აღარც მახსოვს რას ვბოდავდი. ყველაფერში გამოვუტყდი, ეტყობა დაევასა ჩემი მოფიქრებული პონტები, ქალებს უყვართ, როცა მათ აგებულ ციხე — სიმაგრეებს შეუპოვრად იღებენ. ვატყობ გული უჩუყდება, მაგათ ეგ ადვილად მოსდით. მეც ნელ — ნელა ვიძაბები, სახე ახლოს მივუტანე. თმის სურნელებამ გამაბრუა. გაისუსა, დაიბა. ვგრძნობ, ეშინია, ქალები ასეთ დროს ძალიან განიცდიან. შემეცოდა. ვიცოდი ავარდებოდა, ან სულაც ცრემლები წასკდებოდა. (ვერ ვიტან ქალის ცრემლებს). მაგრა ჩამოცხა. მოკლედ არ ლირდა. რაც მთავარია, უკვე დაკერილი მყავდა. ქალების ამბავი მე მკითხეთ.

სოფი: — ყველაფერი ვაკის პარკში მოხდა. სკამზე ვისხედით, მოყუჩებულ ადგილას, იქ, სადაც შეყვარებულები სხდებიან. ეხლაც მახსოვს ის ორი ნაძვი, მცველებივით რომ გადავფარებოდნენ თავისი ტოტებით.

ძალიან ღელავდა. მეც არ ვაწყვეტინებ, ხელს არ ვუშლი, მეშინია, არ დავაძნიო. თავი ისე მიჭირავს, თითქმის ეს ყველაფერი მოულოდნელი იყო ჩემთვის. უნდა შეაფერებინო მაგათ, სხვანაირად არ გამოვა. უცებ ვგრძნობ, ხმა უწყდება, ჩურჩულზე გადადის. ასეთი რამ კაცებს მაშინ მოსდით, გრძნობა რომ ერვეთ. კოცნას აპირებს, ნერვიულობს. პრინციპში მეც ვლელავ. პირველი კოცნა, ხომ ხვდები. თვალები

13

დავხუჭე ვუცდი. მისი ხშირი სუნთქვა საფეთქელთან თბილად მეღამუნება. გული ბაგაბუგით მიცემს. დრო გადის, ველოდები. არაფერი. მოკლედ ვერ გაბედა. მეც გამოუცდელი ვიყავი, არ ვიცოდი, როგორ მივხმარებოდი, ინციატივის აღება ვერ მოვახერხე. რა სასაცილოები ვიყავით!

## ფაილი //

ნიკა: — ესეც შენი ოჯახური იდილია. იწყება ბრძოლა უფლებების გადანაწილებისათვის. ქალები გათხოვების შემდეგ რომ იცვლებიან, ვიცოდი, მაგრამ ასე? არ მესმის, რატომ უნდა შევუთანხმო ყოველთვის, სად მივდივარ. მე ხომ არ ვერევი მაგის სამზარეულოს საქმეებში. არა, სულ ტყუილად ირჯებით ბატონებო, ჩემს თავისუფლებას არაფერზე გავცვლი! მოითხოვს, ყველა — ქალისთვის სავალდებულო ცერემონიალი შევასრულო, ვერ გამიგია, შეყვარებულს და ცოლს ერთნაირად რატომ უნდა მოექცე.

ბოლო დროს რაღაც ამბავია ჩემს თავს. არა, ნამდვილად არ მეჩვენება. ქორწინების მესამე თვეს ასეთ ცვლილებებს ნამდვილად არ ველოდი. თითქოს აღარც მამჩნევს. რაღაც სხვა საზრუნავი გაუჩნდა. ლოგინშიც ისეთი მონდომებული აღარ არის, თითქოს ფრთხილობსო.

ზოგჯერ თვალები უშტერდება, ვიღაცას ულიმის. ბოლო დროს სადღაც დაიწყო სიარული. წინასწარ შხაპს იღებს, საგანგებოდ ემზადება. გაცილებას არ მთხოვს რატომდაც. იქიდან რო ბრუნდება, ბედნიერია და კმაყოფილი, თითქოს დამორცხვებულიც. გუშინ შემოვიდა თუ არა, გამოცვლას შეუდგა. უნებურად ყელზე შევხედე. მაშინვე დაიჭირა ჩემი მზერა — თვითონაც დაიხედა. ჩემი ნაჩუქარი ყელსაბამი სად გაქვს — მეთქი. დაიბნა. აზრზე არა ვარო. იმ ყელსაბამის მარტო დაწოლის წინ იხსნის ხოლმე. ესე იგი რა გამოდის? გავაიასნებ, ვარიანტი არ არის. უნდა შეუმჩნევლად ავედევნო, ამასწინათ ტელეფონზე ებაზრებოდა ვიღაცას. მესმის — ძალიან მეშინია, შენ დიდი გამოცდილება გაქვსო. შევედი, მაშინვე შეწყვიტა. თავი მოვიშტერე, ვითომ ვერაფერს ვამჩნევ. ცოტახანში სამზარეულოში რომ გავიდა, რედიალს დავაწექი, გავიმეორე და მაგის ცხრაჯერ განათხოვარ დაქალ ლულუსთან აღმოვჩნდი. ეგ იყო მაგის მესაიდუმლე. ეხლა რა გამოცდილებას უზიარებდა არ ვიცი. მალე ყველაფერს გაიგებო — ვითომ ეს რას ნიშნავს? თავიდანაც არ ვევასებოდი, ხომ ვიცი. ქეთის ჯიბრზე ავარდა. იქნებ ვითომ?

სოფი: — ოჯახი სულ სხვა ყოფილა. ეს მოვალეობების ასპარეზია და არა სურვილებისა. ცხოვრების წესის შეცვლა როტულია, მაგრამ საინტერერს. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ის მოხდა, ისეთი გრძნობა მაქს, თითქოს აქამდე არც მიცხოვრია, უფრო სწორად, რაღაცნაირად ცარიელი ვიყავი და ახლა ვივსები. რაღაც უცნაური სიხარულის და სიამაყის განცდა მეუფლება. ჩემ სხეულს სულ სხვანაირად ვუყურებ, თითქოს ახლა აღმოვაჩინეო მის ნამდვილ ფასს ახლა ვევდები. სასიამოვნო განცდაა, როცა გრძნობ, რომ შენი სხეული ვიღაცის ნეტარების საუფლოა. არ მეგონა თუ ასე შეიცვლებოდა ჩემი ცხოვრება. ნიკასაც იმდენ დროს ვეღარ ვუთმობ, ნერვიულობს. არ მინდა, ჯერ რო ვუთხრა. კაცები ამას სხვანაირად აღიქვამენ. თანაც, მგონა, რომ მზად არ არის. ისე, მგო-

ნი რაღაცას ხვდება. ამასწინათ, სად დადიხარ ასე გამოპრანჭულიო — მეკითხება ვითომ სხვათაშორის. თავის დროზე გაიგებ — მეთქი, ღიმილით ვუპასუხე. რა სახე ქონდა. ის მძივი კი ნამდვილად იქ დამრჩა, შესასვლელში, სადაც ვიხდი ხოლმე. არაუშავს, არ დამეკარება, წესიერი ხალხია.

ნიკა: — სიტუაცია იძაბება. ყურადღება არ უნდა მოვადუნო. ვუთვალთვალებ. აზრზე არ არის. მართლა სულელები არიან ეს ქალები. — კომპიუტერში ხშირად იჩითება, ერთდამიმავე საიტზე, უნდა შევამოწმო. ამასწინათ ვეუპნები — ანგარიშზე არა მაქს, მობილური მათხოვე — მეთქი. აზრზე ვერ მოვიდა. შემოსული ზარები გავჩითე. უცხო ნომრები არ შემინიშნავს, გასულებში ერთი საეჭვოა. ამოვინერე, უნდა შევამოწმო. საერთოდ მეტი სიტრობილე საჭირო. ერთი წლის წინ ამას ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი. ის ყელსაბამი ისევ უკეთია. ვითომ ვერ ვამჩნევ, არ ვეკითხები, სად იპოვა. მინდა მაგის სიტრობილე მოვადუნო. სუფთა “სამი მუშკეტერია” რა.

მალე ძალიან მნიშვნელოვან ამბავს გაიგებო. ნეტა როგორ უნდა გამომიცხადოს, ძალიან მაინტერესებს როგორ უტყდებიან ქალები ქმრებს ასეთ დროს

იარაღი უნდა ვთხოვო ჩოყლაყას.

სოფი: — ძალიან დაფიქრებულია. მზერა დაძაბული და გამომცდელი გაუხდა. სულ მაკვირდება. ხანდახან ჩემდაუნებურად მინდება თავზე ხელი გადაუსვა. რა გულუბრყვილობი არიან კაცები. ბავშვებს გვანან თავიანთი კაცური კაპრიზებით, შენც უნდა შეაფერებინო, თუ გინდა კომფორტი შეუქმნა მეჩვენება, რომ ძალიან გავიზარდე, ის კი ჩემი შვილია.. ისე, ნეტა როგორ შეხვდება ამ ამბავს? ძალიან მაინტერესებს. ცოტათი მეცოდება, მაგრამ რომ გაიგებს, ამაზე ვკაეფობ ერთი რა სახით მიიღებს ყველაფერს.. მაგრამ მგონი ნამეტანი მომდის, ცოდნა, კმარა!

ნიკა: — ხომ ვიძახდი, ყველაფერი გაიასნდება-მეთქი. ასეც მოხდა. ინტუიცია არ მღალატობს ვგრძნობდი, კარგად დამთავრდებოდა ყველაფერი..

აი, თურმე რა. ლმერთო, რა დებილი ვარ! მალე მამა გავხდები. ხო აზრზე ხარ! მე კი რაებს ვფიქრობდი. ისე, მაგრა ავგარდი. ის ყელსაბამი ქალთა კონსულტაციაში დარჩენია. რა უნამუსო ვარ, ის ასე ნერვიულობდა, საიტებზე ინფორმაციებს ეძებდა, მეგობრებს ეკითხებოდა, მე კიდე ნამდვილი იდიოტი ვარ. სამაგიეროდ ანი ყველაფერს გამოვისყიდი. ზუსტად ვიცი, მაგარი მამა ვიქნები. რა დიდ სიხარულს გვჩუქნიან ქალები ხანდახან. ჩვენ კი ვერ ვუფასებთ.

ისე, მე მგონი მაგრა მეკაფეა, ხომ იცი..

სოფი: — დღეს პირდაპირ, ყოველგვარი მომზადების გარეშე გამოვუკხადე, იცი რა, ფეხმძიმედ ვარ -მეთქი. შოკში ჩავარდა და რა იკითხა, როგორ გგონიათ, ვისგანო. მაგრა გამეცინა. — შენ როგორ ფიქრობ-მეთქი. ამაზე დაიბნა. მარა იხტიბარს მაინც არ იტეხავს. შენ გგონია, ვერ ვხვდებოდი, პროსტო შენგან მინდოდა გამეგორო.

სულ შეიცვალა, ძალიან ბეჭდინერია. მგონი ახლა ხვდება თავის მამაკაცურ დანიშნულებას.

ალბათ, უკეთესიც იყო, ასე რომ მოხდა.

## შეუძლებელი ბრძოლი...



ექსპედიციის წევრები მარცხნიდან-დავით თუხარელი (მეტეო სადგურის თანამშრომელი), დავით ამირეზაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ილია თვალიაშვილი (კინოპერატორი,) დათო ყვირილიანი, გია ჯვარშვილი (ექსპედიციის ორგანიზატორი) მთამსვლელები ნოდარ ქვარაია და ლევან შერვაშიძე, პირველი არხის ოპერატორი ალექსი შერვაშიძე და უურნალისტი რატი მუჯირი.



წინ დიდი გზაა




ლამაზი და უკარება კავკასიონის მთები



16

წმიდა ნინოს ჯვართან




კარვიდან დანახული მთები



წუთიერი ამოსუნთქვა



ლევანი თავის სტიქიაშია



დაისი კავკასიონზე



სამახსოვრო ფოტო გერგეტის პიკზე



18 ბრაილის შრიფტით დაწერილი წერილი  
„შეუძლებელი არაფერია“



ჩამოსვლა დაინტ

ფოტოები: გია ჯვარშეიშვილის



**ლაშა ცაიშვილი დაიბადა** 1977წ. 17 მაისს ქ. თბილისში; **13 წლის** ასაკში დაკარგა მხედველობა. დაამთავრა თბილისის უსინათლოთა სკოლა-პანსიონი; თბილისის სასულიერო სემინარია და აკადემია. არის საქართველოს უსინათლოთა კავშირის ქ. თბილისის ფილიალის თავმჯდომარე, ორი წლის განმავლობაში ლექციებს კითხულობდა კერძო უნივერსიტეტ მეტებში, ამჟამად ლექციების კურსს კითხულობს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის მედიცინის ინსტიტუტში, სწავლობს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის დოქტორანტურაში, თეოლოგიის კათედრაზე. წერს სტატიებს სხვადასხვა უურნალ გაზეთებისთვის, არის გაზეთ “ვერსიის” კორსპონდენტი, არის სტიქაროსანი, გამოშვებული აქვს პოეზიისა და პროზის კრებული; საპატრიარქოს რადიო “ივერიაში” მიყავს გადაცემათა ციკლი “უიმედობაზე გამარჯვებული”. არის დაოჯახებული.

## სახლი სამყაროს მიღმა.

ლონდონი, უწყვეტი მოძრაობის ქალაქი, აქ მიუხედავად შეუაღმისა თითქოს დღეა, ცხოვრება მდინარესავით მოედინება, ფეხსაცმელების და ბორბლების მოსაბეზრებელი ხმაური ერთმანეთში ქაოტურად ირევა. ეს ქალაქი თითქოს თავად მოძრაობის სიმბოლოა; ქუჩის ერთი კუთხიდან გამოიჭრა ხალხის ბრძოლა, ხელში პლაკატებით რომლებზეც ეწერა, “ვინც არ მოძრაობს კვდება”, „მოძრაობა მოძრაობისთვის“ მთელ ხმაზე გაჰყვირდნენ “დიდება მოძრაობას“. ბრძოლა წინ ერთი კაცი მოუძღვოდა, რომელსაც ხელში გერბი ეჭირა, მასში სხავადასხვა ფიგურები იყო გამოსახული: იალქანი, თვითმფრინავის ფრთები, ბორბლები, ფეხსაცმელები და ნალი; ქვემოთ ჰქონდა წარწერა: “მოძრაობის სადიდიებელი გერბი”.

ქალაქის განაპირას ვეებერთელა ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო იყო წამომართული, ღამის სიბრუნვეს შთანთქავდნენ მოჩახჩახე ლამპონები. ყველაფერი აჭრელებული იყო სარეკლამო აფიშებით, შეიძლება ითქვას, რომ ამ ქალაქში ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქებში, ღამე აღარ არსებობს, თითქოს ცივილიზაციამ დუელში გამოიწვია სამყარო.

სასტუმროს წინ მოედანზე შავი ლიმუზინი შეჩერდა. მსახურებმა კარები გააღეს, მანქანიდან ახალგაზრდა ქალი და მამაკაცი გადმოვიდნენ. ძალზედ სასიამოვნოდ გამოიყურებოდნენ, ბედნიერი სახეები ჰქონდათ; მამაკაცს ცოტა შეზარხოშებაც ეტყობოდა, როგორ ჩანს წვევულებიდან დაბრუნდნენ, ახალგაზრდა ქალი ძალიან ელეგანტურად გამოიყურებოდა, კლასიკური სტილის შავი სალამოს კაბა ეცვა, ყელზე ბრილიანტის კოლიე უბრწყინავდა, ხელებსა და ყურებსაც ბრილიანტები უმშვენებდნენ; საშუალო სიმაღლის იყო, გამხდარი, მხრებამდე დაფენილი ქერა თმით, ცისფერი თვალები და მოგრძო მოყვანილობის ფერმკრთალი სახე ჰქონდა, ხელში ერთი ცალი წითელი ვარდი ეჭირა. მამაკაცი საშუალოზე ოდნავ მაღალი, ბრგე

აღნაგობის იყო, წაბლისფერი თმები უკან ჰქონდა გადავარცხნილი, ორივე მხიარულად გაუყვნენ გზას სასტუმროს შესასვლელისკენ.

შორიდან რაღაც ჩიჩქოლის ხმა მოისმა, ქუჩაში ხალხის აქცია გამოიშალა, დაახლოებით ასორმოცდაათამდე ქალი ტრანსფარანტებით ხელში ჩქარი ნაბიჯით მოდიოდნენ და რაღაცეებს ისტერიულად გაჰყვირდნენ, მერე ერთ შედარებით ფართე ადგილას შედგნენ, მეგაფონები მოიმარჯვეს ერთი მაღალი მსუქანი ქალი მთელი ხმით გაჰკიოდა: “მოვითხოვთ აბორტის ლეგალიზაციას! ყველა ქალს აქვს უფლება საკუთარი სხეულიდან რომელიმე ზედმეტი წანილი ამოიჭრას და მოიშოროს, წუარლვევთ ქალთა უფლებებს” ბრძომ ტაში დააგრიალა. გამომსვლელები დიდი მონდომებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, მერე გაშალეს დიდი პლაკატი, რომელზეც აბორტის პროცესი იყო გამოხატული. აბორტის იარაღები გადიდებულად ეხატა, მათზე ეწერა: “დიდება ადამიანთა უფლებების დაცვის უზენაესობას”.

იქვე მახლობლად მაღაზიის კიბეზე იჯდა თორმეტიოდე წლის ბიჭუნა, ხელში ცოცხალი ჩიტი ეჭირა და დიდი მონდომებით ფრთებს აგლევდა. საბრალო ფრინველი გულსაკლავად წრიპინებდა. შემდეგ ბიჭუნამ აიღო დიდი ქვა და თითქოს კაკალს ამზგვრევსო, ისეთი ნასიამოვნები სახით გაუჩეხა თავი მსხვერპლს. ნელ-ნელა მთელი აქცია ბავშვისკენ შემოტრიალდა, ერთხმად იხულეს და ბიჭუნას ეცნენ, დაუწყეს ცემა, ჯიჯგვა, ფრინველისადმი გამოჩენილი ასეთი სისასტიკის გამო კიცხავდნენ. შემდეგ ერთ-ერთ პლაკატზე დაასვენეს ჩიტი და დიდი პატივით დაკრძალეს. პროცესის დასრულების შემდგომ ცრემლიანი თვალებით კვლავ განაახლეს აბორტის მხარდამჭერი აქცია. პატარა ბიჭი დასისიხლიანებული უგონოდ ეგდო ქუჩაში.

სასტუმროში წყვილს მათთვის განკუთვნილი ნომრის კარი მსახურებმა გაუღეს, ვახომ მოწინებით მოჰკიდა ხელი ხელზე მაკას და ნელი ნაბიჯით შეიყვანა ოთახში, რომელიც შავი ვარდებით იყო მორგული გებგვერდია: [www.imedipliusi.ge](http://www.imedipliusi.ge)

თული, საწოლი ვარდის ფურცლებით იყო მოფენილი. იქვე პატარა მაგიდაზე ეწყო შამპანიური, ხიზილალა და სხადასხა სახის ხილი.

—ვახო რა საოცარი სილამაზე და სურნელება დგას, გმადლობ.

—რას ამბობ საყვარულო, ასეთ წვრილმანებზე არ ღირს მადლობა, შენზე საოცარი და ლამაზი ამ ქვეყნად არვინ და არაფერია.

ოთახი ცისფერ და მწვანე ტონებში იყო განათებული. ვახო წამოდგა განათება გამორთო და სანთლები აანთო. სანთლების ცეცხლოვანი ენები სტრიპტიზიორი გოგონებივით აცეკვდნენ ოთახის კედლებზე. ვახომ წელზე მძლავრად შემოაჭდო მაკას ხელები და თვალები დაუკოცნა; მერე თავდავინებით აიტაცა ხელში...

ქუჩაში უკვე სიმშვიდე სუფევდა, გზაზე ნაცემი ბავშვის სისხლის კვალი შემორჩენილიყო, როგორც გაირკვა ბიჭუნას თავის ქვაზე დარტყმით ტვინი უიმედოდ დაუზიანდა, და რადგან უპატრონო ყოფილა, ექიმებმა მიიღეს “ჰუმანური” გადაწყვეტილება, ევთანაზისთვის (ანუ გაუტკვარების გზით სიცოცხლის ხელოვნური შეწყვეტისთვის) მიემართათ. რაც მათი აზრით, უიმედო პაციენტისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო.

სასტუმროს პირველ სართულზე დიდი რესტორანი განეთავსებინათ, სადაც უამრავი ახალგაზრდა თუ შეუხის მამაკაცი და ქალი ერთობოდა, ნახევრად შიშვლები დაუცხრომლად როკვავდნენ მთელი ღამის განმავლობაში, თითქოს გათენებამდე ცეკვის გეგმა იყო შესასრულებელი.

ნაშუალამევს ვახო და მაკაც რესტორანში ჩამოვიდნენ, თუმცა ისინი არ ჩართულან ამ ორომტრიალში, განაპირო მაგიდიდან ადევნებდნენ თვალყურს და ფრანგულ სურნელოვან ღვინოს წრუპავდნენ. მუსიკა ისე ხმამალია იყო ჩართული, რომ ერთმანეთთან საუბარს ვერ ახერხებდნენ, მხოლოდ სხეულის ენით ურთიერთობდნენ. კარგად შეზარხოშებული ახალგაზრდების ნაწილი სკამებზე და მაგიდებზე დახტოდა, ერთი სიტყვით სრული საგიუჟთი ჰქონდათ. სასტუმროს შესასვლელის მარცხენა მხარეს პატარა მრგვალი სცენა იყო მოწყობილი, სადაც სხვადასხვა სახის სანახაობა იმართებოდა, ამ პატარა თეატრს სახელად “დედამიწა” ერქვა. სცენის შუაგულში ტახტზე მელია იჯდა, რომელსაც სახეზე მამლის ნიღაბი ეკეთა; სცენის მარცხენა მხარეს იგივე ფორმაში მყოფი ორი მელია ესაუბრებოდა რიგში მდგარ მსახიობებს, მათ სახეზე ქათმის ნიღბები ეკეთათ. ტანზე სხადასხვა სახის ჩაცმულობა ჰქონდათ, ერთს სამხედრო ფორმა ეცვა, მეორე ჩვილი ბავშვივით იყო სახვებში გახვეული, მესამე გლახაკი ხეიბარივით გამოიყურებოდა, და ა.შ. მათთან მდგარ ორ მამლის ნიღბიან მელიას ისინი სათითაოდ თვალახვეული ფარდულში შეჰქავდათ, სადაც იდგნენ ნაჯახიანი მელიები და შემოსულებს თავებს აცლიდნენ. ფარდულს გარედან შემდეგი წარწერა ჰქონდა: “ჩვენ ვზრუნავთ თქვენზე”. ვახო და მაკა ისევ ნომერში ავიდნენ.

მოგონებათა სამყაროდან სინათლის სხივის სისწრაფით მაკა გადმოისროდა აწმყოში ბავშვის ტირილმა. თვალებზე ცრემლი მოიწმინდა, ელდანაცემი წამოვარდა ხის ძველი მორყეული სკამიდან, მისივე ლურსმანზე გამოედო კაბა და სკამი ხმაურით დავარდა ძირს, ცივ ცემენტზე ბავშვმა უფრო უმატა ტირილს, დედამ პატარა გულში ჩაიკრა და მოფერება დაუწყო. შუქი ისევ არ იყო, ცალი ხელით კარადის უჯრიდან სანთელი ამოილო და ბოლო ასანთის ღერით აანთო, ბავშვიც დაწყნარდა. მარტოსული ქალის ტკბილი მოგონებები უეცრად დაუნდობელმა რეალობამ მოსრა. მაკამ პატარა ისევ ლოგინზე მიაწვინა და მეზობელთან გავიდა ასანთის სათხოვნელად. შემობრუნებული ბებიის დანატოვარ ხის ტახტზე ჩამოჯდა, რომელზეც ნახევრად დაფლეთილი და ბამბებგადმოცვენილი ლეიბი იყო დაგებული. ოთახი 8—10 კვადრატული მეტრი იქნებოდა. ის ამ შენობაში ყველაზე დიდი სარდაფი იყო, თავისი ქონებიდან ესლა შემორჩენდა, კედლები ალაგ—ალაგ ჩამონგრეული იყო ნესტისაგან. მაკა ფანჯარასთან მივიდა, სანთელი რაფაზე ჩამოდგა და დღიური გადაშალა. შემდეგი სათაური მოხვდა თვალში “საავადყოფო”— სულ მარტო დავრჩი, საწყალმა მამიდამ, მთელი ცხოვრება ჩემს მოვლას და აღზრდას მიუდღვნა, ვებრალებოდი ობოლი და მიუსაფარი რომ ვიყავი, ახლა აქ ამ უცხო კედლებში ექიმების ხელში დალია სული, ისევ მარტო დავრჩი, გაყიდული სახლის თანხის თითქმის მთელი ნანილი სავადყოფოში დაიხსარჯა, რა ირონიაა, ეს ექიმები ერთი ხელით გმკურნალობენ, მეორეთი კი კი გძარცვავენ და თუ ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა მაშინ კი... დარჩენილი თანხით ან საზღვარგარეთ უნდა ნავიდე, ან იმ შემორჩენილ სარდაფში ცოცხლად დავიმარხო, კითხვა შეწყვიტა, ცრემლები მოიწმინდა. რამდენიმე გვერდი გადაშალა და განაგრძო: ოხ, რამხელა ქალაქია ეს მოსკოვი, სულ თავგზა მაქვს აბნეული, სამსახური დროულად თუ ვერ ვიშოვე, ბინის ქირას ვერ დავფარავ, თბილისში ძველ სოროში მომინევს მღრღნელივით ცხოვრება, ისევ რამდენიმე გვერდი გადაშალა, შემდეგი სათაური ეწერა: “საარეკლამო სააგენტო” ნამით გაირინდა, მის გონიერაში აფრებივით აიშალნენ ნარსულის მოგონებები.

— დალიან საამო ხმის ტემბრი და გარეგნობა გაქვთ, თუ შეიძლება უფრო თამამად, გთხოვთ ხელახლა თქვათ ტექსტი, აბა კამერები გადაღება დავიწყეთ. უცებ გადაღება შეწყდა, ყველა შემოსასვლელისკენ გაქანდა, კარგები ბრგე აღნაგობის სიმპათიური ახალგაზრდა მამაკაცი იდგა

— როდის ჩამოხვედით მოსკოვში ბატონო ვახტანგ?

— ამ დილით ვასილიჩ.

— ცოტა ხანს დაგველოდეთ გადასალებ ოთახში ვართ ბატონო ვახო და თქვენს შეკვეთებზეც გავისაუბროთ;

— მეც დაგვესწრები გადაღებას, თუ მომცემთ ნებას, ასეთი მშვენიერი ქალბატონის ხილვა დიდი ბეჭდიერებაა.

— კარგით მობრძანდით, აი ბატონო ვახტანგ, გაიცანით ეს მშვენიერი ქალბატონი მე აღმოვაჩინე და ჩვენს სააგენტოში მოვიწვიე თუ კარგად გამოგვი-ვა კონტრაქტსაც გავაფორმებთ. ვახო მოწინებით ემთხვია ხელზე და მოშორებით ჩამოჯდა, მზერას ვერ აცილებდა უცნობ ქალს. ამ დღიდან დაიწყო მაკას ახალი ცხოვრება, სულ ვარდები და ქვირფასი საჩუქრები, ელიტარული წვეულებები, უმაღლესი კლასის რესტორნები და სასტუმროები, ევროპის ქალაქები, და ბოლოს ლონდონი. ველარ ხვდებოდა სიზმარში იყო თუ ზღაპრების რეალურად არსებობა უნდა ერწმუნა. ფიქრობდა ნუთუ მე კონკია ვარ....

მაკა ისევ დღიურს ჩააშტერდა ოთხი-ხუთი ფურ-ცელი გადაშალა, ასეთ სათაურს მოკრა თვალი: “ლაქები მზეზე თუ სისიხლიანი ანგელოზი “არა ასეთ სიგიურს ვერ ჩავიდენ, არა და ულტიმატუმი წაყენებულია “ან მე ან ბავშვი”. მე მკვლელი ვერ გავხდები, მითუმეტეს საკუთარი შვილის, რა ნაძირალა ყოფილა, არადა უსაზღვროდ მიყვარს, სხვა გზა არ არის, თბილისში უნდა გავიპარო, ღმერთო ჩემო, გლანდები ან ხორცმეტი ხომ არა “მოიკეთე”, “მოიშორე”, ეს ხომ ჩვენი შვილია, ცოცხალი არსებაა, ნეტავ სულ არ გამეცნო, მე მის ცოლად ვთვლიდი თავს, ის კი თურმე არაფრად... . არ ვყვარებივარ, მე უბრალოდ მისი მორიგი გართობა ვიყავი.

კითხვა შეწყვიტა. სუნთქვა შეეკრა, ცოტაც და გონებას დაკარგავდა, სასწრაფოდ გარეთ გავიდა, სული მოითქვა და ცხარე ცრემლებით აქვითინდა, შერცხვა მეზობლებმა არ დამინახონ და შინ შემობრუნდა, ბავშვი გაღვიძებული დახვდა;

— ამდენი ნერვიულობით ნეტავ რძე არ გამიშრეს.

პატარა გულში ჩაიკრა და ისიც ხარბად ეძგერა დედის მკერდს.

ცოტა ხნის შემდეგ მეზობლებმა შემოუარეს, მაგიდაზე პური დადეს და ხვენება-ხვენეშით ტახტზე ჩამოჯდენე, ლალი ძალიან გამხდარი და დაბალი ქალი იყო, თამარი საშუალო სიმაღლის, ჭაღარა თმებით, ორივენი შუა ხნის ასაკის იქნებოდნენ ჭაღარა თმიანმა დაიწყო,

— აი შენც მოგიტანეთ, ჩემო მაკა, ზუსტად ოთხ-საათნახვარია რაც პურის რიგში ვდგავარ, კიდევ კარგი დილის ექვს საათზე მივედი ბევრს საერთოდ არ შეხვდა ღმერთო ეს რა საშინელი დრო დაგვიდგა.

— მე რაღა ვთქვა თამარ არც სახლ-კარი, არც ქმარი, არც სამსახური და ეს პატარა ბავშვი. ნახევრად ვშიმშილობ, თქვენ რომ არა ვიცი რა მეშველებოდა,

საუბარში ლალი ჩაერთო, — ჯოჯოხეთში ვართ პირდაპირ, არც შუქი არც გაზი, ჩემმა ქმარმა აივანზე დაანთო ცეცხლი და საჭმელი ისე გავაკეთეთ, დაეზარა კერასინკისთვის ნავთის ყიდვა, მანდაც უშველებელი რიგები დგას. ისე ჩემო მაკა ძალიან უგუნურად მოიქცი, შენი უძვირფასესი სამკაულები და ფული რომ არ ნამოიღე, არადა თავს კარგად გაიტანდი ასე რომ გექნა.

— მართალი ხარ, ნეტავ მასე მოვქცეულიყავი, მაგრამ იმ დროს მაგაზე ვერ ვფიქრობდი, ჩემთვის

მთავარი შვილის გადარჩენა იყო. ეს ჰუმანიტარული პროდუქტებიც სულ იგვიანებს, იმედია მაღე ფსიქიატიულში არ მოვხვდები.

როცა მაკა ოთახში კვლავ მარტო დარჩა ძლიერი სისუსტე იგრძნო, თავპრუ დაეხვა და მუხლებში ჩაიკეცა, დაახლებით საათნახევრის შემდეგ მოვიდა გონს, ბავშვი ტიროდა მეზობლები კარებზე უბრაცხნებდნენ, ეტყობა ბავშვის გაბმული ტირილის ხმა შემოესმათ. მაკა კი ამდენსანს გაუნძრევლად იწვა ცივ ცემენტზე. მერე როგორლაც მოიკრიბა ძალა და ნამოდგა, კარი რომ გააღო შეშინებული ლალი და თამარი შემოცვივდნენ. ხომ მშვიდობაა, როგორ ხართ?

ერთ-ერთი ბავშვს მივარდა, მეორემ დედა დასვა ტახტზე და ნამლების მოსატანად გაიქცა სახლში.

ბოლოს სასწრაფოს გამოძახებაც დააპირეს, მაგრამ მაკამ გააჩერა;

— უკვე კარგად ვარ, ნუ გეშინიათ არაფერი არ მჭირს.

სინამდვილეში კი უფულობის გამო შეიკავა თავი. გულში ფიქრობდა: რა დროს სასწრფოა, ეს დღეები ალბათ შეიმშილი მომინებს, ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს დააგვიანებს ჰუმანიტარული დახმარება. ჩემი თავი ჯანდაბას, ნეტავ რძე მაინც არ გამიშრეს და ჩემი შვილი კარგად მყავდესო.

მეზობლები გვიანობამდე არ მოსცილდნენ გვერდიდან, ბოლოს რომ დარწმუნდნენ რომ დედაც და შვილიც კარგად იყვნენ, სახლებში გაბრუნდნენ.

გარეთ კუშტი, ხმაურიანი ლამე იდგა. მანქანების რუზრუზი, ალაგ-ალაგ ჩაბნელებულ ქუჩებში ბახუს-მორეული ახალგახრდების ყვირილი, რესტორნიდან ხმამაღალი სიმღერები, აქა-იქ კი ძალების ყეფა და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ არღვევდა ღამის მყავდროებას. ქალაქი ავზნიანი ავადმყოფივით ბორგავდა. შუალამის სამი ოთხი საათისთვის ძლივს მინელდა ხმები.

გამთენისას მეზობლებს ისევ შემოესმათ ბავშვის უწყვეტი ტირილი. . . ეს ხმა პერიოდულად წყდებოდა და მერე უფრო ძლიერად გრძელდებოდა. ლალი რაღაც შიშმა აიტანა, სიცივეში ჩქარჩქარა ჩაიცვა, და გარეთ გამოვიდა, სადარბაზოში თამარი და სხვა მეზობლებიც გამოსულიყვნენ, მაკას კარზე აბრაცხნებდნენ მაგრამ ამაღდ. . . ბოლოს ერთმა ჯანიანმა კაცმა შეამტკრია კარი, ნამიერად ყველა შეყოვნდა, თითქოს ვერავინ ბედავდა პირველი შესვალას. ბოლოს თამარმა გაბედა სხვებიც შეჲვნენ. ისინი შემზარავი სურათის მომსწრენი გახდნენ მაკა უძრავად და უსულოდ იწვა ხის ტახტზე მისი ღიად დარჩენილი თვალები სადღაც შორს უსასრულო სივრცეში იყურებოდნენ. მკერდი გადაღელილი ჰქონდა, ბავშვი ისევ განწირული ჩხაოდა და ამაღდ ცდილობდა დედის გაციებული მკერდიდან საზრდო მიეღო.

P.S. ეს ამბავი მთელი თავისი შემზარავი რეალობით მეორე დილასვე გაავრცელა ქალთა ერთ-ერთმა არასამთავრო თრგანიზაციაში პრესის საშუალებით.

2009 წ. 19 დეკემბერი

ნინამდებარე სტატია ეძღვნება სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანთა, კერძოდ სმენადაქვეითებულთა განათლებას და მათი ინტეგრაციის შესაძლებლობას საზოგადოებაში. შევე-ცდებით კიდევ ერთხელ მივაყროთ მკითხველის ყურადღება იმ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, რასაც „განათლება ყველასთვის“ ჰქვია. სტატიაში განხილულია ბილინგვური და ინკლუზიური განა-თლების პოზიტიური შედეგები სმენადაქვეითებულ ადამიანთა განათლების პროცესში. განვიხილავთ რა შესაძლებლობები არსებობს მათი ინტეგრაციისათვის სწორად დაგეგმილი და განხორციელებული განათლების შემთხვევაში.

## სმენადაქვეითებულთა განათლება – არისტოტელური თანამედროვე გამოწვევებამდე

ირინა შუბითიძე



„თვალები გაახი-  
ლეთ, სმენადაქვეითე-  
ბულები სწავლობენ  
ლაპარაკს“ (pen Your  
Eyes: Deaf Studies Talking) — ეს არის სა-  
თაური ერთ-ერთი  
წიგნისა, რომელიც  
სმენადაქვეითებულთა  
ცხოვრების ასპექტები-  
სა და მათ კულტურ-

აზე მოგვითხრობს. (H- Dirksen L. Bauman, 2008). შემთხვევითი არ არის, რომ სტატია სწორედ ამ სი-  
ტყვებით დავიწყეთ. საბედნიეროდ დღეს ვითარება  
რადიკალურად შეიცვალა სმენადაქვეითებულთა  
განათლებისა და მათი ინტეგრაციის კუთხით, გან-  
სხვავებით გასული საუკუნეებისა, როცა სპეციალ-  
ური საჭიროების მქონე ადამიანები დისკრიმინაციის  
მსხვერპლი იყვნენ. მსგავსი ადამიანები თანმე-  
დროვე მსოფლიოს ბევრ განვითარებულ ქვეყანაში  
იღებენ სრულფასოვან განათლებას მათი ფიზიკური  
ან გონიერივი მონაცემების შესაბამისად და აქვთ  
სხვა ადამიანების მსგავსი შესაძლებლობები

სტატიის მიზანია აღნეროს ის კულტურული,  
ლინგვისტური და საგანმანათლებლო თავისებურე-  
ბები, რომლებიც ახლავს სმენადაქვეითებულთა  
ბილინგვური პროგრამებით განათლებას და სო-  
ციალიზაციას.

### განათლება, როგორც უფლება და რესურსი

„მცენარეები იღებენ ფორმას კულტივირებით,  
ადამიანები კი განათლებით. ჩვენ ვიბადებით უსუ-  
სურნი და გვჭირდება სიძლიერე, ჩვენ ვიბადებით  
სრულიად უქონელნი და გვჭირდება დახმარება;  
ჩვენ ვიბადებით უჭკუონი და გვჭირდება განჩინე-  
ბა. ყველაფერი ის, რისი უფლებაც ჩვენ გვეძლევა  
დაბადებისთანავე და რაც ჩვენ გვჭირდება როცა  
ვიზრდებით, არის განათლება“ (ჟან ჟაკ რუსო, „ემი-

ლი ანუ აღზრდის შესახებ“)

განათლება ყველა ადამიანის ფუნდამენტური  
უფლებაა, განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქე-  
სის, ასაკის, ენის, ეროვნების, ეთნიკური ან სოცია-  
ლური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ  
სხვა მდგომარეობის, რელიგიური ან პოლიტიკური  
შეხედულების, ფიზიკური ან გონიერივი შესაძლე-  
ბლობების. განათლება, როგორც უფლება ყველას-  
თვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ადა-  
მიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში  
(The Universal Declaration of Human Rights. UDHR) 1948  
წლის 10 დეკემბერს გამოჩნდა. <http://www.un.org/en/documents/udhr/#atop>

2010 წლის ყველა გლობალური მონიტორინგის  
ანგარიში ამტკიცებს, რომ მიუხედავად უდიდესი ძა-  
ლისხმევისა სხვადასხვა უდიდესი ორგანიზაციების  
მხრიდან, მაინც არ არის განათლება ყველა ადამია-  
ნისთვის ხელმისაწვდომი, რის გამოც მათ ერთმე-  
ვათ შესაძლებლობა სრულფასოვანი ცხოვრებისა.  
ხშირად არ ეძლევათ შესაძლებლობა დაიცვან საკუ-  
თარი თავი, იცოდნენ საკუთარი უფლებები, რადგან  
მათ თავის დროზე ვერ მიიღეს კანონით მინიჭებუ-  
ლი განათლების უფლება.

განათლება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია  
ადამიანის, როგორც იდნივიდის ფორმირებისთვის.  
ეს არის თითოეული პიროვნებისთვის ცხოვრების  
ყველაზე დიდი მიზანი, სრულფასოვანი განათლება  
ნებისმიერი შესაძლებლობის ადამიანისთვის ნიშ-  
ნავს საზოგადოების სრულფასოვან წევრობას. გა-  
ნათლება არის პირობა ადამიანების თვითშეგნების  
განვითარებისათვის, რაც თავის მხრივ განაპირო-  
ბებს მათ მშვიდობის თანაარსებობას მსოფლიოს  
ნებისმიერ ქვეყანაში.

განათლების თანაბარი შესაძლებლობა გულისხ-  
მობს, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს ხელშეწყობა  
მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე მიიღოს  
განათლება. სტატიაში ყურადღება გამახვილებული  
იქნება სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა  
განათლებაზე. კერძოდ განვიხილავთ ბილინგვიზ-

მის განსაკუთრებულ ჯგუფს — სმენადაქვეითებულ ადამიანებს, რომელიც წარმოადგენენ ენობრივ უმცირესობას. განვიხილავთ კავშირს ბილინგვურ და ინკლუზიურ განათლებას შორის.

## ბილინგვიზმი და ინკლუზია სენა-დაქვითობული მოსახლეებისათვის

ვიდრე უშუალოდ სტატიის მთავარ საკითხს გავაცნობთ მყითხველს, უმჯობესია მოკლედ განვმარტოთ იმ ტერმინთა არსი და წარმოშობის ისტორია, რომლებიც ბოლო დროს ძალზე აქტუალური გახდა მათი მნიშვნელობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე.

ტერმინი ინკლუზია „ჩართულობას“ ნიშნავს. იგი XX-ე საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა ყოველ-დღიურ ლექსიკაში. ამ ტერმინის არსში თავდაპირველად მოაზრებოდა უნარშეზღუდული ბავშვების განათლება, მაგრამ დღეს მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და გარდა უნარშეზღუდულებისა უსახლკარო, ლტოლვილ, სიღატავის ზღვარს ქვემოთ მყოფ და ყველა იმ ბავშვს აერთიანებს, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ აქვთ სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალება და საჭიროებენ განსაკუთრებულ მზრუნველობასა და ყურადღებას. ინკლუზის საბოლოო მიზანია დისკრიმინაციის ნაცვლად საზოგადოება შეამზადოს სოციალური ინტეგრაციის მიმღებისთვის, ნებისმიერი შესაძლებლობის ბავშვს მიეცეს კანონით მინიჭებული სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია მიღერისა და კათზის მიერ „ინკლუზის“ განმარტება. ისინი ამ ტერმინის განმარტებას იძლევიან ფასეულობათა სისტემის კონტექსტში და ამბობენ, რომ ინკლუზია არის შინაგანი განცდა მიკუთვნებულობისა: პატივისცემის შეგრძნება, განცდა საკუთარი თავი იპოვონ და შეაფასო საკუთარი შესაძლებლობები ადეკვატურად. სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მატებს თავდაჯერობულობას, რომელიც აძლიერებს პიროვნებას და მატებს ხალისს საკუთარ თავში აღმოაჩინოს ძალა. მაქსიმალურად გამოიყენოს შესაძლებლობები რათა მოიპოვოს ადგილი საზოგადოებაში და გახდეს მისი სრულფასოვანი წევრი. (Miller and Katz 2002)

სმენადაქვეითებულ მოსნავლეთა დაახლოებით 80% ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში სმენის მქონე თანატოლებისა და მასწავლებლების გარემოცვაში (Salend, 2001; Schick, Williams, & Bolster, 1999). დღით-იდლე მატულობს იმ ბავშვთა რაოდენობა, რომელიც ამჯობინებენ ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში მიიღონ

განათლება. უამრავია გამონვევა იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც ასწავლიან იმ კლასში, სადაც არიან სმენადაქვეითებული მოსწავლეები. (Standley Laurel) ხშირად კრიტიკული დამოკიდებულებას საზოგადოების მხრიდან სმენადაქვეითებულთა ინკლუზიურ სკოლებში (სკოლა, სადაც ჩვეულებრივი და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები ერთად იღებენ განათლებას) სწავლასთან დაკავშირებით.

მეორე მნიშვნელოვანი ტერმინია ბილიგვიზმი, რომელიც გვსურს განვიხილოთ სმენადაქვეითებულთა განათლების კონტექსტში. საზოგადოდ ეს ტერმინი გულისხმობს კომპეტენციის უნარს ერთზე მეტ ენაში. ბილინგვიზმის უამრავი განმარტებიდან ერთ-ერთი ეკუთვნის ცნობილ ენათმცნიერს ვაინ-რაიპს (1968). იგი განმარტავს — „ორი ენის მონაცვლეობით გამოყენებას პრაქტიკაში — ბილინგვიზმი ეწოდება. ადამიანს კი, რომელიც ორ ენას ფლობს და იყენებს ბილინგვალი“. დღეს ბილინგვური განათლება აქტუალურია მთელს მსოფლიოში და გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისათვის, კერძოდ: ეროვნული უმცირესობების სახელმწიფო ენის შესწავლისათვის; უმრავლესობის მოსწავლეებისთვის რომელიმე უცხო ენის შესასწავლად და ა.შ. ჩვენ ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ ბილინგვიზმის როლზე სმენადაქვეითებულთა განათლებაში. სმენადაქვეითებულ ბილიგვალებს ბევრი საერთო აქვთ სხვა დანარჩენ ბილინგვალებთან. ორი ენა სხ-

ვადასხვა ფუნქციით სხვადასხვა მიზნისთვის ისევე წარმატებით შეუძლიათ გამოიყენენ სმენადაქვეითებულებმა, როგორც ჩვეულებრივმა ადამიენებმა. ხშირად სმენადაქვეითებულებს მშობლიური ენის მაგივრობას ნიშნების ენა უწევს და ასევე წარმატებით ართმევენ თავს უმრავლესობის ენაზე წერა-კითხვის შესწავლას. მათი მიზნები და ამოცანები სრულიად ემთხვევა ჩვეულებრივი ბილინგვალებისას.

როგორც აღმოჩნდა, ძალიან ბევრი ინტერესი და მსგავსება არსებობს სმენის პრობლემის მქონე და სრულყოფილი სმენის მქონე ბილინგვალებს შორის მთელს მსოფლიოში (ბრელიე, 1999; ბეიკერი 2010) სმენადაქვეითებული ხალხი წარმოადგენს ენობრივ უმცირესობას, რომელსაც ბევრი აქვს საერთო სრულყოფილი სმენის მქონე ენობრივ უმცირესობასთან. ბილინგვური ხედვა სმენადაქვეითებულ ადამიანებს აღიქვამს ენობრივი უმცირესობის თემად და პოზიტიურად აფასებს მათ უნარებს, თემსა და კულტურას, განსხვავებით სამედიცინო შეხედულებისა,



რომელიც მიმართულია მათი უმრავლესობაში ასი-  
მილიციისაკენ. (ბეიკერი 2010)

ინკლუზიური და ბილინგვური განათლება აქ-  
ტუალური განსაკუთრებით გასული საუკუნის  
დამდეგიდან გახდა, რადგან მანამდე სპეციალ-  
ური საჭიროების მქონე ადამიანები, რომლებსაც  
ჰქონდათ ენასთან დაკავშირებული პრობლემები,  
ან ფიზიკური ან გონებრივი ჩამორჩენილია,  
სრულიად იგნორირებული და გარიყული იყვნენ  
საზოგადოებისგან. ისინი საუკუნეების მანძილზე  
აღიქმებოდნენ როგორც „პრობლემა“ და „ტვირთი“  
საზოგადოებისათვის. მათზე ზრუნვა მხოლოდ სა-  
მედიცინო მეურნალობით შემოიფარგლებოდა,  
არანაირი ხელშეწყობა მათი განათლებისთვის და  
განვითარებისთვის არ არსებობდა. ჯერ კიდევ არ-  
ისტორიულეს დროიდან მოდის სმენადაქვეითებულთა  
დისკრიმინაცია. მისი წარმოდგენითს მენადაქვეითებულ  
ადამიანებს არ შეეძლოთ განათლების მიღება,  
რადგან ადამიანს მხოლოდ მოსმენით შეუძლია  
შეიმეცნოს და გახდეს განა-  
თლებული. <http://www.start-american-sign-language.com/history-of-sign-language.html> ის სმენადაქვეითებულებს სა-  
ბერძნეთის მოქალაქეებად არ მიჩნევდა, რადგან მათ  
არ შეეძლოთ ბერძნულ ენ-  
ეზე მეტყველება. [http://www.theitinerantconnection.com/history\\_of\\_deaf\\_education.htm](http://www.theitinerantconnection.com/history_of_deaf_education.htm)

საბოლოოდ გასული საუ-  
კუნიდან მრავალ ქვეყანაში  
2000 წლიანი დისკრიმინაცია  
შეცვალა სპეციალური საჭიროებების მქონე ადა-  
მიანთა უფლებების აღიარებამ და სახელმწიფოე-  
ბის მხრიდან მათ განათლებაზე და ინტეგრეციაზე  
ზრუნვის სტრატეგიამ. მიუხედავად ამ წინგადად-  
გმული ნაბიჯისა ზუსტად არავინ იცის რამდენი  
სმენედაქვეითებული ან სმენასთან დაკავშირებულ  
პრობლემიანი ადამიანი ცხოვრობს დღეს მსოფლი-  
ოში, რთულია ზუსტი სტატისტიკური მონაცემების  
მოგროვება, რადგან ჯერ კიდევ ბევრია ისეთი, ვი-  
საც არ სურს ლიად ისაუბროს მის პრობლემებზე და  
თავს არიდებს საზოგადოებაში გამოჩენას. სავარაუ-  
დო დემოგრაფიული მაჩვენებელის მიხედვით 22 დან  
36 მილიონამდე სმენადაქვეითებული და სმენასთან  
დაკავშირებული პრობლემების მქონე ადამიანია  
მსოფლიოში. <http://deafness.about.com/cs/earbasics/a/demographics.htm>

ამ რაოდენობაში ადამიანების ძალიან მცირე  
პროცენტია, რომლებიც სმენადაქვეითებულად  
არ მოიაზრება, თუმცა სერიოზული პრობლემები  
აქვთ სმენასთან დაკავშირებით და თითქმის მათი  
ხმის აღქმის უნარის დაბალი დონე უთანაბრდება  
სმენადაქვეითებულთა აღქმის უნარს, მაგრამ ხშირ-  
ად, მათ არ მიაკუთვნებენ სმენადაქვეითებულთა  
რიცხვს და ცალკე კატეგორიად განიხილავენ, თუმცა

მათი პრობლემები უმეტესწილად სმენადაქვეითებულების სწავლასთან დაკავშირებულ პრობლემების იდენტურია. აშშ-ი სტატისტიკური კვლევა ჩატარდა ორი ფედერალური სააგენტოს მიერ: დაავადებათა ეროვნულ ცენტრთან არსებული (Centers for Disease Control (CDC) ჯანდაცვის სტატისტიკის ეროვნული ცენტრისა (The National Center for Health Statistics (NCHS) და ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიუროს (NCHS) 1994 წლის მონაცემებით 4.5 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა ამერიკაში, აღრიცხული ადამიანებიდან უმეტესობა სრულიად სმენადაქვეითებული იყო, მაგრამ ეს მონაცემები სმენის პრობლემის მქონე ადამიანების ძალიან დაბალ პროცენტს შეიცავდა. <http://deafness.about.com/cs/earbasics/a/demographics.htm>

კომუნიკაციის საშუალებად ძირითადად გამოიყენება თარჯიმანი, ისევე როგორც სპეციალური სასმენი აპარატები. დაახლოებით 12 ყოველი 1000 ადამიანიდან სმენას კარგავს 18 წლის ასაკიდან, მაშინ

როცა სმენადაქვეითებულების უმეტესობა ამ პრობლემით იბადება. აღნიშნული მონაცემები ეფუძნება ჯანდაცვის სტატისტიკის ეროვნული ცენტრის (NCHS) მონაცემებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან დიდია შესაძლებლობა, რომ საშუალოდ თითო სკოლაში მინიმუმ ერთი მოსწავლე მაინც იყოს სმენადაქვეითებული.

არსებობს სმენადაქვეითებულთა რამდენიმე ჯგუფი, რომელთაგან აღსანიშნავია რამდენიმე:

1) სმენადაქვეითებულები რომლებიც მხოლოდ ნიშნების ენას ფოლობენ;

2) რომლებიც ნიშნების ენასთან ერთად ფლობენ უმრავლესობის ენას და იყენებენ სხვადასხვა ფუნქციით;

3) ადამიანები, რომლებმაც სმენა დაკარგეს ზრდასრულობის პერიოდში;

4) ინდივიდები, რომელთაც აქვთ სმენასთან დაკავშირებული სიძნელეები, თუმცა ესმით გარკვეული აპარატურის დახმარებით (ბეიკერი 2010)

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ამერიკის შეერთებულ შტატებში სმენადაქვეითებულთა დაახლოებით 90% იბადება ჩვეულებრივი სმენის მქონეთა ოჯახებში. (Deaf Children of Hearing Family. DofH) (Moores, 1978; Salend, 2001) ოჯახებში, სადაც იზრდებიან სმენადაქვეითებული ბავშვები ჩვეულებრივ გამოიყენება მინიმუმ ორი ენა (ან ენის ვარიანტი) კომუნიკაციისთვის და სწავლებისთვის. (Standlay Laurel) ხშირად მშობლები ცდილობენ ისწავლონ ნიშნების ენა და ხდებიან სმენადაქვეითებულთა თემის წევრი. ეს კი დამატებითი სტიმულია მათთვის და თავის



მხრივ პოზიტიურად აისახება მათ საქმიანობაზე.  
(ბეიკერი 2010)

ნიშნების ენის ცოდნა არის იმის წინაპირობა, რომ ინდივიდი გახდეს სმენადაქვეითებული ხალხის (თემის) ნაწილი. არიან ინდივიდები, რომლებიც არც ნიშნების ენას ფლობენ, არც უმრავლესობის ენას და მათ ექმნებათ საშიშროება აღმოჩნდნენ თემისაგან და საზოგადოებისგან გარიყულნი. (ბეიკერი 2010)

ერთი საინტერესო ფაქტი აღმოჩნდა კვლევის შედეგად. ადამიანები ნაკლებად მძიმე დაზიანებებით უფრო თავს არიდებენ საზოგადოებაში ინტეგრაციას, ვიდრე ისინი ვისაც მძიმე დაზიანებები აღენიშნებათ სმენასთან დაკავშირებით. <http://deafness.about.com/cs/earbasics/a/demographics.htm>

## ახერიცული ნიშვნების ენა სენაციაჲითაგულთათვის.

„ნიშნების ენა არის საჩუქარი, რითაც ღმერ-თმა სმენადაქვეითებული ხალხი დააჯილდოვა“ (ქვოტირება მოყვანილია იანკოვსკის მიერ, 1997) (ბეიკერი 2010)

ნიშნების ენა არის საშუალება ადამიანთა გარკვეული ჯგუფს ჰქონდეს საერთო კულტურა, ენა, ცხოვრების წესი. ეს არის გრამატიკულად გამართული, ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც დრო-დადრო ვითარდება და მდიდრდება, ისევე, როგორც ყველა სრულყოფილი ნებისმიერი ენა. ის საშუალებას აძლევს სმენადაქვეითებულებს სრულყოფილად გამოხატონ საკუთარი აზრი და ამ ენის დახმარებით იყვნენ რეალიზებულნი არამარტო მათ საკუთარ თემში, არამედ სრულიად საზოგადოებაში. (ბეიკერი 2010)

„ნიშნების ენამ წარმოდგენა მათი „არანორმალურობის“ შესხებ შეცვალა მათი „განსხვავებულობის“ შესახებ წარმოდგენით“ (იანკოვსკი, 1997, გვ.44) (ბეიკერი 2010) ამ ენას, ისევე, როგორც სხვა ყველა ენას, აქვს სისტემური სახე, რაც განასხვავებს მას უესტების ენისგან. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ნიშნების ენას დამწერლობა არ აქვს, სმენადაქვეითებულები მას იყენებენ კომუნიკაციისთვის და მეორე ენას (2) წიგნიერებისთვის, მინერ-მონერისთვის, ინფორმაციის მოსაპოვებლად წიგნში ან ინტერნეტში, ასე, რომ არ შეიძლება ისინი მივიჩნიოთ ცალკე ჯგუფად, მათ რეალურად აქვთ შესაძლებლობა და უნარი იყვნენ საზოგადოებაში ინტეგრირებულნი და არა გარიყულნი.

არსებობს სხვადასხვა ნიშნების ენა: ამერიკული, ბრიტანული, ჩინური დანიური, ფრანგული და სხვა... უკანასკნელ პერიოდში ჩრდილოეთ ამარიკაში, ისევე როგორც კანადაში გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები სმენადაქვეითებულთა განათლების ხელშესაწყობად, რაც გულისხმობს, რომ ამ ქვეყნებში თანდათან ვითარდება სწავლების ბილინგვურ/ბიკულტურული მოდელი. ამ მოდელის მიხედვით სწავლების ენას წარმოადგენს ამერიკული ნიშნების ენა (American Sign Language. ASL), როგორც პირველი ენა (1), ხოლო ინგლისურს სწავლობენ, როგორც მეორე

ენას, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ცოდნა გამოავლინონ თრივე ენაზე. ეს კი თავისმხრივ ხელს უწყობს მათ განვითარებას და სოციალიზაციას. (Statement of Policy, Ontario Provincial Schools for Deaf Children, 1993)

ბილინგვურ/ბიკულტურული სწავლების მოდელის მომხრები ამტკიცებენ, რომ თუ ნიშნების ენა, კარგად ჩამოყალიბებული, სტრუქტურული სახით ისწავლება, როგორც პირველი ენა (1), მისი გამოყენებით მოსწავლეებს სრულიად თავისუფლად შეუძლიათ ინგლისურის ან სხვა რომელიმე ენის შესწავლა (წერისა და კითხვითი უნარების განვითარება). ნიშნების ენა კი იქნება გამოყენებული, როგორც ალტერნატიული საშუალება ზეპირი მეტყველებისა არამარტო სწავლების პროცესში, არამედ შემდგომ ყოველდღიურ ცხოვრებაში. (Israelite et al., 1992)

რაციონალური საფუძველი ამ მიდგომისა არის ლინგვისტური ურთიერთდამოკიდებულებების მოდელი, რომელიც საფუძველს იღებს ჯიმ კუმინსის (Jim Cummins 1989a, 1991a) ნაშრომებიდან. აღნიშნულ მოდელს საფუძვლად უდევს არგუმენტი, რომ კოგნიტური, აკადემიური ან წიგნიერების უნარები, შეძენილი ერთ ენაში, სრულიად თავისუფლად გადადის მეორე ენაში. უნარებს, რომელსაც მოსწავლე შეიძენს ამერიკული ნიშნების ენის სწავლისას, თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს და გადაიტანოს ინგლისური ენის შესწავლის პროცესში (Mayer, C. & Wells, G. 1996).

აღსანიშნავია ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი, ჩვეულებრივი მოსწავლეები თავიანთი პირველი ენის გარკვეულ ასპექტებს (მოსმენა, მეტყველება) შეისწავლიან ბუნებრივ გარემოში მინიმალური ძალისმევით, ყოველგვარი გამიზნული სწავლების გარეშე, ხოლო სმენადაქვეითებულ მოსწავეებს უწევთ ენის ყველა კომპინენტი (წერა კითხვა, ლაპარაკი და მოსმენა) შეისწავლონ, როგორც უცხო ენა. ანუ საბოოლო ჯამში, მათ მეტი ძალისხმევა მართებთ ორი ენის შესწავლისას, ვიდრე ჩვეულებრივ მოსწავლეებს, მაგრამ ეს სრულებით არ გულისხმობს, რომ მათ არ შეუძლიათ წარმატებით დაეუფლონ ნებისმიერ ენას.

შეზღუდული უნარები, რომელიც თითოეულ ინდივიდში განსხვავებული ფორმით არსებობს, არ გულისხმობს მათ უუნარობას სწავლაში. პირიქით, არა მარტო სმენადაქვეითებულებს, არამედ ნებისმიერი სახის დარღვევის მქონე ადამიანების უდიდეს ნაწილს განსაკუთრებული მახსოვრობის და აზროვნების უნარი აქვს. უბრალოდ ისინი ჩვენგან განსხვავებულად გამოხატავენ აზრებს, რაც არ შეიძლება გახდეს მიზეზი მათი საზოგადოებიდან გაძევებისა.

საკითხი მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. აბსოლუტურად სმენადაქვეითებულ მოსწავლეებში ნაცვლად მეტყველების უნარის განვითარებისა, მუშაობენ ვიზუალური მახსოვრობის და აღქმის უნარის განვითარებაზე. ნიშნების ენა არის მათი პირველი ენა პირისპირ კომუნიკაციის დროს, ეს კი არის

ექვივალენტი ნებისმიერი ენისა, რომელიც შემდგომში შეუძლიათ გამოიყენონ მათვის სასურველი მეორე ენის სწავლების იარაღად. (Mayer, C. & Wells, G. 1996)

სამნეუსაროდ უდიდესი ძალისხმევისა, არც ერთ ნიშნების ენას არ აქვს საკუთარი ორთოგრაფია (Stokoe, 1960; Sperling, 1978), არც ერთ ნიშნების ენას არ აქვს საყოველთაოდ აღიარებული საკუთარი დამნერლობა. როდესაც საქმე წერის საშუალებით კომუნიკაციას ეხება, სმენადაქვეითებულებისთვის აუცილებელია არსებობდეს მათვის ადვილად აღსაქმელი და გამოსაყენებელი, მათ უნარებს და შესაძლებლობებს მორგებული წერილობითი ფორმა, მაგალითად, როგორიცაა ბრაილის შრიფტი უსინათლოთათვის.

იმის გამო, რომ ნიშნების ენას არ აქვს საკუთარი დამნერლობა, მოსწავლეებს, რომლებიც ამ ენას სწავლობენ, როგორც პირველი ენა, არ უვითარდებათ წერის უნარი. თავისთავად მეორე ენაში ამ უნარის ტრანსფერი ვერ განხორციელდება, რაც თავის მხრივ ართულებს ინგლისურში წერის უნარის ათვისებას. რომ გავაგლოთ პარალელი სმენადაქვეითებულ და ჩვეულებრივ ბილინგვალებს შორის, აღმოჩნდება, რომ მსოფლიოში არსებობენ ენები, სადაც ანალოგიური პრობლემა ხშირად აქვთ იმ მოსწავლეებს, რომელთა პირველ ენას (ხშირად ეს ენა მშობლიურია) არ აქვს დამნერლობა. (Mayer, C. & Wells, G. (1996)

ეს მხოლოდ ერთი თვალსაჩინო მაგალითია, საიდანაც ჩანს, რომ ბილინგვიზმის არსი და დანიშნულება, როგორც სმენადაქვეითებულებული ასევე ჩვეულებრივი ბილინგვალებისათვის ერთი და იგივეა, უბრალოდ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები, მათი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, საჭიროებენ განსხვავებულ, ინდივიდუალურ მიღებომას. ამ არგუმენტის ვალიდურობა განმტკიცებულია ემპირიული კვლევებით, რომლებიც ჩატარდა მეორე ენის შემსწავლელ სტუდენტებთან. (აღნიშნულ კვლევაზე დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ: Cummins 1983; 1984; 1991a; 1991b and Cummins and Swain, 1986)

კვლევები ამტკიცებენ, რომ წერისა და კითხვის უნარების სწორად სწავლება და განვითარება პირველ ენაში პოზიტიურად აისახება და ეხმარება მეორე ენაში იგივე უნარების განვითარებას. (Treger and Wong, 1984; California State Department of Education, 1985; Gonzalez, 1986; Canale et al., 1987; Falter, 1988; Cumming, 1989) თუმცა ეს ტრანზიცია დამოკიდებულია რამდენად გვანან და არ განსხვავდებიან ის ენები ერთმანეთისგან, რომლებსაც მოსწავლე ეუფლება ((Genesse, 1979; Cummins et al., 1984) უნდა აღინიშნოს, რომ არ არის ზუსტად განსაზღვრული კორელაცია ჩვეულებრივ უნარჩვევებსა და საკომუნიკაციო უნარებს შორის და წერა-კითხვის უნარის ერთი ენიდან მეორე ენაში გადატანას შორის. (Goldman, 1985; Cummins, et al., 1985).

## დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ნიშნების ან ჟესტების ენას არ აქვს საკუთარი დამნერლობა, ბილინგვურ/ბიკულტურული მოდელი იზიარებს მიდგომას, რომ ერთ ენაში (ამ შემთხვევაში ნიშნების ენა არის პირველი ენა, 1) შეძენილი ნებისმიერი უნარი ადვილად ტრანსფორმირდება მეორე ენაში. ნიშნების ენისთვის საკუთარი ორთოგრაფიის არ არსებობა კი ძალიან ადვილად შეიძლება შეივსოს ნებისმიერი სხვა ენით. ჩვეულებრივი ბილინგვალების მსგავსად სმენა დაქვეითებული ბილინგვალები ორ ენას გამოყენების სხვადასხვა მიზნისთვის, ნიშნების ენა იქნება გამოყენებული ზეპირი კომუნიკაციის საშუალებად და საკუთარი აზრის გამოსახატავად, ხოლო ნებისმიერი სხვა ენა (2) იქნება ალტერნატიული საშუალება წერისა და კითხვის საჭიროების დროს.

აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ყველა სახის ბილინგვალს აერთიანებს ერთზე მეტი ენის სხვადასხვა მიზნით გამოყენების უნარი. სმენადაქვეითებულთაც ისევე წარმატებით შეუძლიათ გახდნენ ბილინგვალები, როგორც ჩვეულებრივ სხვა ნებისმიერ ადამიანს. მთავარია სასწავლო პროცესი დაიგეგმოს და წარიმართოს სწორად, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კეთილსინდისი-ერად და სწორად ჩატარებულ კვლევებს, რომლის მიხედვით იგეგმება სასწავლო პროცესი და ხშირად სწორად ჩატარებული კვლევები განსაზღვრავს ამა თუ იმ სასწავლო მოდელის წარმატებას; კიდევ ერთი ფაქტორია მშობელთა ჩართულობა და მონაწილეობა მათი შვილების განათლებაში და ბოლოს, რაც ყველაზე საგულისხმოა, სათანადო კვალიფიკაციის მასწავლებლების მომზადება, რომლებმაც უნდა ასწავლონ ინკლუზიურ ან სპეციალურ (სმენადაქვეითებულთა) სკოლებში.

## გთავაზრდაში:

• ბეიკერი, 2006 - კ. ბეიკერი, ბილინგვიზმისა და ბილინგვური განათლების საფუძვლები. „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ 2010 წლის ქართული ვერსიის გამოცემა.

• მაიერი, ველსი 1996 — ayer,C.&Wells,G(1996). Can the linguistic Interdependence Theory Support A Bilingual-Bicultural Model of Literacy Education for deaf Students? (Theoretical and Review Article)

• სტანდლი, — Standley L, Sociolinguistic Perspectives on the Education of Deaf Children in Inclusion Placements. University of New Mexico.

• <http://www.un.org/en/documents/udhr/#atop>

• <http://www.start-american-sign-language.com/history-of-sign-language.html>

• [http://www.theitinerantconnection.com/history\\_of\\_deaf\\_education.htm](http://www.theitinerantconnection.com/history_of_deaf_education.htm)


## უდია ირზმუნი, რომ გაიმარჯვო, ანუ 60 ვარჯიში სიცოცხლისათვის

გამოყენება, დასაწყისი №1 (11)-№9(19).



0.პუზიციონი

ვარჯიშთა მართვა კომპლექსი

**ვარჯიში №28** დგომი. რიგრი-  
გობით ფეხების გვერდზე გან-  
ევა. წონა თანდათანობით იზ-  
რდება (6-8).



**ვარჯიში №33** სკამზე  
ჯდომი. ხელების გამართვა  
იდაყვის სახსრებში. წონა  
თანდათანობით იზრდება  
(6-8).




**ვარჯიში № 29** დგომი. ხელე-  
ბით ვეყრდნობით საყრდენს.  
ფეხების უკან განევა წონა თან-  
დათანობით იზრდება(6-8).




**ვარჯიში №34** სკამზე  
ჯდომი. ხელების მოხრა  
იდაყვის სახსრებში.წონა  
თანდათანობით იზრდე-  
ბა (5-6).


**ვარჯიში №30** დგომი. ფეხების  
რიგ-რიგობით მაღლა აწევა.  
წონა თანდათანობით აკლდება  
(6-8).



**ვარჯიში № 35** ზურგზე  
წოლით, ხალიჩაზე ხე-  
ლების სრიალით ქნევითი  
მოძრაობები (6-12).




**ვარჯიში № 31** სკამზე  
ჯდო-  
მი. ხელების მაღლა აწევა. წონა  
თანდათანობით იზრდება (6-  
8).




**ვარჯიში № 36** ზურ-  
გზე წოლით, ხელების  
გამართვა იდაყვის  
სახსრებში.წონა თან-  
დათანობით მცირდ-  
ება (6-8).



**ვარჯიში № 32** სკამზე  
ჯდომი. ხელების განმკლა-  
ვი.წონა თანდათანობით  
აკლდება (6-8).



**ვარჯიში № 37** ზურგ-  
ზე წოლით,გამართული  
ხელებით ზემკლავი,  
წონა თანდათანობით  
კლებულობს (6-8).




**31 ჯიში № 38** ზურგზე წოლით, აქნევით თავს ზემოა გამართული ხელების გადატანა შემდგომში საწყი მდგომარეობაში დაბრუნების (6-8).



**31 ჯიში № 39** ზურგზე წოლით, ხელების განმკლავი და წინმელავი, წონა თანდათანობით მცირდება (6-8).

**31 ჯიში № 40** სკამზე ჯდომი. ველოსიპედისტის მოძრაობები, წონა თანდათანობით იზრდება (5-20).



ბაზრისძლება ჰემლეპ ნოზერში

## მოძრაობა ბავშვის ჯანმრთელობას აყალიბებს

იგორ დოლიძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი



ადამიანის მოძრაობითი აქტივობის იყო, არის და იქნება მისი ორგანიზმის განვითარების, ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობა. არისტოტელე თავის დროზე სამართლიანად აღნიშნავდა — “ადამიანის ორგანიზმის ისე არაფერი ცვლის და არღვევს, როგორც ხანგრძლივი ფიზიკური უმოქმედობა”. ეს კი

ნიშნავს იმას, რომ მოძრაობითი აქტივობის სრული გამოთიშვა ან მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა ადამიანის ორგანიზმზე დამლუპველად ზემოქმედებს.

ადამიანის ჯანმრთელობა იწყება არა მარტო მისი დაბადების წუთებიდან, არამედ, ჯერ კიდევ ნაყოფის ჩასახვამდე, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მისი მშობლების ჯანმრთელობასთან და წინაპრების გენეტიკურ კოდთან. სამწუხაროდ ამ პრობლემას ნაკლები ყურადღება ექცევა.

ჰიპოდინამია, ანუ კუნთური უმოქმედობა, ყოველ ნაბიჯზე საშიშროებას უქმნის ნებისმიერ ადამიანს.. ეს ადრეც ხდება, სანამ ის გააკეთებს თავის პირველ ნაბიჯებს. დედის მუცელადყოფნის პირობებში ნაყოფი რიგ შემთხვევაში უანგბადისა და საკვების უკმარისობას განიცდის, რაც მიმშილს იწვევს. ეს

კი, მას აიძულებს იმოძრაოს, რათა მოიპოვოს თავისი „საარსებო პური“ პლაცენტიდან არტერიული სისხლის ნაკადის გაძლიერებული “გადმოქაჩვის” შედეგად. ამით ნაყოფი აყალიბებს თავის ფიზიკურ სხეულს, სტიმულირებას უკეთებს ქსოვილებისა და ორგანოების ზრდას. ამასთან, ჩატარდა საინტერესო გამოკვლევა, რომელმაც გამოავლინა შემდეგი: ორსულები, რომლებიც ჭარბად იღებენ საკვებს, მათი სისხლი ჭარბად გაჯერებულია მაღალგალორიული ნივთიერებებით და საფრთხეს უქმნის ნაყოფის მოძრაობას. ჭარბი საკვებით გაჯერებული ნაყოფი ჰიპოდინამიურია, რაც ამოკლებს მის სიცოცხლის უნარიანობას მანამდე, სანამ დაიწყება ჩვილის სიცოცხლის ოფიციალური ათვლა.

დღეს ექიმები ორსულებს უკრძალავენ საკვების ჭარბ მოღებას და აძლევენ მეტი მოძრაობის რეკომენდაციას. ორსულ სპორტსმენებზე დაკვირვებამ, რომლებიც წრთვნას გადიოდნენ ცურვაში, მეცნიერებს მისცა საშუალება, დაედგინათ მნიშვნელოვანი ფაქტი: სპორტსმენი დედების ბავშვები ბევრად უფრო ადრე იწყებდნენ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, ვიდრე არანავარჯიშევი დედების შვილები.

ბავშვი მოძრაობისადმი მოთხოვნილებას აქტიურად ავლენს დაბადების პირველი წუთებიდან, როცა ბავშვის დედა მოძველებული ტრადიციის მიხედვით ცდილობს მაგრად შეფუთოს თავისი “პანაწინა”, ამაზე ის პროტესტით პასუხობს — ხვნეშის,

იქმუხნება და კიდევაც ტირის. ბავშვისათვის მოძრაობა წარმოადგენს სიხარულის წყაროს, ხოლო კარგი გუნება-განწყობა იძლევა კარგი ჯანმრთელობის საფუძველს. სისტემატურად ჩატარებული გამაჯანსაღებელი ფიზიკური ვარჯიშები (მასაჟი და ტანვარჯიში), ხელს უწყობს წერვული სისტემის აგზებისა და შეკავების პროცესების ნორმალიზებას. აქედან გამომდინარე, კუნთოვანი და ნერვული სისტემების ურთიერთდამოკიდებული მუშაობის პროცესი განსაზღვრავს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციის გაუმჯობესებას, რაც ხელს უწყობს ბავშვთა პარმონიულ აღზრდას, როგორც ფიზიკურად, ასევე გონებრივად. დიდ ხნის წინათ, ამ აზრს იზიარებდა გამოჩენილი ფიზიოლოგი ი. სერენოვი შემდეგი თეზისით: “კუნთების მუშაობა, ეს არის ტვინის მუშაობა”.

დღეს, მკვეთრად მოიმატა ადრეული ასაკის ბავშვთა სიკედილიანობის სტატისტიკურმა მონაცემებმა, რომლის ძირითად მიზეზად ასახელებენ მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, თანდაყოლილი იმუნიტეტის დაქვეითებას, ახალშობილის ფიზიკური და გონებრივი განვითარების დაბალ დონეს, მზარდ ეკოლოგიურ კრიზისს, გენეტიკურ კოდში პათოლოგიურ ცვლილებებს, ბავშვთა ჯანდაცვის ორგანიზაციის მოუქნელ მუშაობას და ა.შ. სახელმწიფოს ჯანდაცვის სტრუქტურები მეტად უნდა იყვნენ დაინტერესებული ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხით, რაც ერთს სიძლიერეს განსაზღვრავს და მუდმივად უნდა ახსოვდეს ის, რომ ბავშვის ორგანიზმი მუდმივად იზრდება, რთულდება მისი ქცევა და ხასიათი — ის პიროვნება ხდება. დღეს გადასინჯვას მოითხოვს კლასიკური პედიატრიის მრავალი რეკომენდაცია, რაც მნიშვნელოვნად არ შეესაბამება სხვადასხვა ასაკობრივი პერიოდის ბავშვთა ფიზიოლოგიის სპეციფიურ თავისებურებებს. დღემდე არსებული ადრეული ასაკის ბავშვების ორგანიზმზე ფიზიკურ-განმავითარებელ ღონისძიებათა ზემოქმედების, დაწყების ვადებისა და ჩატარების მეთოდიკა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულია. მეცნიერ-პედიატრთა ნაწილი ფიზიკური ვარჯიშისა და მასაჟის დანიშვნის ოპტიმალურ ვადად თვლიან ბავშვის 1.5-2 თვის ასაკს, რაც ავტორების შეხედულებით, განპირობებულია ბავშვის ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებებით. თუმცა ზოგიერთი მეცნიერთა ჯგუფის რეკომენდაციით, ფიზიკური ვარჯიშების გამოყენება მიზანშენონილია ბავშვთა უფრო ადრეულ — 2-3 კვირის ასაკიდან და ცალკეულ შემთხვევებში სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე (ი. არშავსკი, მ. ტრუნოვი, ლ. კიტაევი და ა.შ.). ამ უკანასკნელთა მტკიცებით, სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე ბავშვისათვის აუცილებელია მოძრაობა, ვარჯიში, რაც ხელს უწყობს მოზარდის ორგანიზმი არსებული ბიოენერგეტიკული რეზისურების მაქსიმალურად გამოყენებას და განაპირობებს სხვადასხვა დაავადების მიმართ ბავშვის ბავშვის ორგანიზმის მაღალ იმუნო-ბიოლოგიურ მდგომარეობას.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე დავრნებული დაწყებიდანვე დაწყებული დღეების პირველი დაავადების პირველი დღეებიდანვე დაწყებული დაავადების გამაჯანსაღე-

ბელი პროცედურები (მასაჟი და ტანვარჯიში) ადრეულად ხელს უწყობს ბავშვის სხეულის სიგრძეში ზრდას და კუნთური მასის მომატებას, რაც შემდგომში განპიროვნდა (ხუთწლიანი დაკვირვების შემდეგ) მისი ორგანიზმის ადაპტირების გაუმჯობესებაზე გარემოში არსებულ არახელსაყრელ პირობებთან. ისინი საგრძნობლად უსწრებდნენ ფსიქო-მოტორული განვითარების მხრივ საკონტროლო ჯგუფის (არანავარჯიშები 2,5 თვის ასაკიდან) ბავშვებს. საგულისხმოა ისიც, რომ ადრეულ ასაკში ნავარჯიშები ბავშვები გაცილებით ადგილად ექვემდებარებოდნენ აღზრდის პროცესს, სწრაფად უმუშავდებოდათ სწორი დინამიკური სტერეოტიპი დ მყარად ინარჩუნებდნენ ორგანიზმის სტატიკურ და დინამიკურ ფუნქციებს (დგომა, ჯდომა, სიარული, ცოცვა) ბავშვის პარმონიულ აღზრდაში., რასაკირველია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დედის პიროვნულ თვისებებსაც, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ნიჭის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ვადასტურებთ, რომ ადრეული ასაკის ახალშობილებისათვის არ არის ნაჩვენები წინააღმდეგ მასაჟისა და გამაჯანსაღებელი ტანვარჯიშის გამოყენება, დოზირებული კუნთური დატვირთვა, მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ახალი ადაპტაციის და კომპენსატორული მექანიზმების სრულყოფას, რაც ორგანიზმში განაპირობებს წივთიერებათა ცვლის ოპტიმალურ რეგულაციასა და ნორმალური პომეოსტაზის შენარჩუნებას.

ი.არშავსკი მიუთითებს, რომ მოძრაობითი აქტივობის აუცილებელი მოცულობის გარეშე დაბადებული მოუმნიფებელი ადამიანის ნაყოფს არ შეუძლია გაიაროს თავისი ორგანიზმის ფორმირებისათვის საჭირო მომწიფების აუცილებელი ფაზები, ხოლო მოზრდილ პერიოდში ადამიანს არ შეუძლია დააგროვოს სტრუქტურული ენერგია, რომელიც აუცილებელია ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის და სტრესის მიმართ წინააღმდეგობის განვითავის.

ამრიგად, ადამიანის სიცოცხლეს, როგორც ყველა ცოცხალი არსების ცხოველმოქმედებას და ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების წარმართვას, განაპირობებს, მოძრაობა (ფიზიკური აქტიობა).

ყველა ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ ფიზიკური აქტივობა — ბუნებით დაკანონებული ბრძანების შესრულების მოთხოვნილებაა.

მისი აუცილებლად შესრულება ყველა ადამიანისათვის გადაუდებელ პირობას წარმოადგენს, რა თქმა უნდა ასაკის, სქესის და ჯანმრთელობის ხარისხის გათვალისწინებით. ამ მხრივ, სასურველია, გავიზიაროთ ი. არშავსკის სიტყვები — “ადამიანი მოძრაობითა და განვითარებით ქოქავს თავისი ცხოვრების საათს”.

ყველი ბავშვის ორგანიზმში დევს ბუნებისაგან მინიჭებული მოძრაობისადმი მოთხოვნილება. ბავშვისათვის გასწრება სირბილში, ცალ ფეხზე ხტუნაობა — შეჯახებები ისევე ბუნებრივი და აუცილებელია, როგორც სუნთქვაა. ბავშვის ერთ მხიარულ სიმღერაში ასეთი სიტყვებია: “ჩემს შიგნით მუდმივი ძრავა, მუდმივი მორბენალი და მუდმივი სახტუნაო დევსო”...

**ჟურნალის ვებგვერდია: [www.imedipliusi.ge](http://www.imedipliusi.ge)**

## ჩოგბურთის დედოფალა ფურორი მოახდინა



ესთერ ბერგერმა (ნიდერლანდები) ფურორი მოახდინა. მან შიშველმა, სპეციალურად ყოველთვიურ უურნალ ESPN The Magazine's Body Issue-ის ყდისათვის სურათები გადაიღო.

პაროლიმპიური თამაშების ხუთგზის გამარჯვებულმა, დიდი მუზარადის 16 გზის მფლობელმა, საინვალიდო ეტლით მოსარგებლე სპორტსმენთა შორის 29 წლის მსოფლიოს 1-მა სპორტსმენმა, ახლახანს დაუმარცხებლად 396-ჯერ გამარჯვებულმა, „ნიუ“-ს სტილში გადაიღო სურათები ზემოთალნიშნული უურნალისათვის, რითაც ყველა გააოცა და მათ შორის ისინიც, ვინც ამას შეუძლებლად მიიჩნევდნენ.

ბერგერი გახდა ერთი მათგანი იმ ექვს სპორტსმენ-ვარსკვლავთა შორის, რომელებიც პოზირებდნენ უურნალის ამ გამოშვებისათვის და უურნალში მისი გამოჩენა გახდა ინტერნეტფორუმებზე საზოგადოების აქტიურობის გამოწვევის მიზეზი და პასუხობდნენ მეორე სპორტული გამოცემის The Bleacher Report - ის შეხედულებებს ამ მოვლენის მიმართ, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა, – „ვერ ვუარყობთ, რომ მას ლამაზი სხეული აქვს, მაგრამ არ არის ლამაზი, როცა ინვალიდის ეტლში მჯდარი შიშველი ქალი ფოტოკამერის წინ კეკლუცობს“.

ამის პასუხად ESPN The Magazine-ს რედაქტორმა თქვა, რომ Body es is გამოცემაა, რომელიც მიზნად ისახავს იმ სპორტსმენთა სხეულის შესწავლას და სახალხოდ გამომზეურებას, რომელიც ასე აღაფრთოვანებს ხალხს, და არა იმიტომ, რომ უბრალოდ დავინახოთ მისი სიშიშვლე, როგორც ამას სხვა გამოცემები აკეთებენ. ჩვენ პატივს ვცემთ სპორტსმენებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა ფიგურა, ზომები, ფერი, სქესი, ასაკი და რასა. გაჩვენებთ იმ სხეულს, რომელსაც ისინი იყენებენ სპორტში საოცნებო მიზნების მიღწევისათვის. ესთერ ბერგერი ტალანტიური სპორტსმენი და ლამაზი ქალია — საზოგადოებისათვის ეს მისი ღირსეული და სასიამოვნო სიურპრიზია.

Body Issue-ს საინაგურაციო გამოშვებაში, რომელიც 2009 წელს გამოვიდა, ყდის პირველ გვერდზე წარმოდგენილი იყო ამერიკელი სპორტსმენი ტრიარ-ლონსტრი სარა რეინერტსენი (Sarah Reinertsen), რომელიც იყო პირველი ინვალიდი ქალი (ერთი ფეხის ამპუტაციით), რომელიც მონაწილეობდა რკინის ტრიატლონში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში.



## WADA – მ გამოაქვეყნა 2011 წლისათვის აპრენალული პრეპარატების სია.

საერთაშორისო ანტისადოპინგო სააგენტომ (WADA) გამოაქვეყნა აკრძალული პრეპარატების სია, რომელიც ძალაში შევა 2011 წლის 1 იანვრიდან.

ახლად დამტკიცებულ სიაში შეტანილია ახალი სექცია — “არასაანქცირებული პრეპარატები” (‘Non-Approved Substances’). ეს კატეგორია აღნერს იმ ფარმაცევტულ ნივთიერებებს, როლებიც გამოიყენება დოპინგის ხარისხში, მაგრამ არ არის შეტანილი სიის სხვა სექციაში, როგორც მიუღებელი სახელმწიფოთა ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ თერაპევტული გამოყენებისათვის. შემდეგ მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს სიიდან კატეგორიის ‘Platelet-Derived Preparations’ (ანტი-

ტრომბოციტული პრეპარატების) ამოღება, როგორც დოპინგის მიზნით გამოყენებული რეგისტრირებული შემთხვევების არ არსებობა.

გაუქმებულია აგრეთვე წესები სპორტსმენების მიერ მკურნალობის მიზნით აუცილებლად გამოსაყენებელი წამლები აუცილებელი დეკლარირების შესახებ.

აკრძალული წამლების სია, მონიტორინგის პროგრამა და ძირითადი ცვლილებები 2011 წლისათვის შეგიძლიათ მოიძიოთ საიტზე: <http://www.wada-ama.org/en/World-Anti-Doping-Program/Sports-and-Anti-Doping-Organizations/International-Standards/Prohibited-List/>

ნიფორმაციის წყარო: <http://www.paralympic.org/>

## ძიუდო, როგორც პარლიმპიური სპორტის სახეობა

ძიუდო-ს თუ ვთარდმნით იპონურიდან ქართულად სიტყვასიტყვით ნიშნავს “რბილ გზას”. ამ სპორტის სახეობაში გაერთიანებულია ადამიანის სულიერი და ფიზიკური საწყისები და წინა პლანზე წამოსწევს მონინააღმდეგისა და ზოგადად ყოველი ადამიანურის პატივისცემას. შერკინება აუცილებლად იწყება და მთავრდება თავის დაკვრით. სულ სპორტსმენმა მონინააღმდეგის პატივისცემა უნდა გამოხატოს 7-ჯერ, ამასთან ერთჯერ თავის დაკვრის ხანგრძლივობა შეადგენს 4 წამს, ხოლო წელში უნდა მოიხაროს 30<sup>0</sup>-თ. ორთაბრძოლის ეს სახეობა დაფუძნებულია სამურაების ხელჩართულ ჭიდავისა ე.ნ. ჯიუ-ჯიუცუზე.. თავიდან ძიუდო გამოიყენებოდა თვითკონტროლისა და დისციპლინის, დამოუკიდებლობისა და საკუთარი ძალების რწმენის განვითარებისათვის. შემდეგ კი მან საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და გახდა როგორც ოლიმპიური, ასევე პაროლიმპიური სპორტის სახეობა. პირველი საერთაშორისო შეჯიბრება ძიუდოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის (უსინათლოთათვის) შედგა 1987 წელს. ხოლო მომდევნო 1986 წელს სეულში (კორეა) ძიუდო (მამაკაცები) გახდა პაროლიმპიური თამაშების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ქალებმა პირველად მონანილეობა მიიღეს ათენის (2004 წ) ზაფხულის პაროლიმპიურ თამაშებში. დღეისათვის ძიუდო (როგორც საინვალიდო სპორტის სახეობა) განვითარებულია მსოფლიოს 30 ქვეყანაში და მისი განვითარებს ხელმძღვანელობს უსინათლოთა სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (IBSA).

აღწერილობა

პაროლიმპიურ ძიუდოში მონანილეობენ უსინათლო და სუსტადმხედველი სპორტსმენები. შეჯიბრება ტარდება 3 კლასში და პროგრამაში შეტანილია 13 წონითი კატეგორია.

მამაკაცები: (7)

60.00	კგ-მდე
66.00	კგ-მდე
73.00	კგ-მდე
81.00	კგ-მდე
90.50	კგ-მდე
100.00	კგ-მდე
100.00	კგ-ზე ზემოთ.



ქალები(6)

48.00	კგ-მდე
52.00	კგ-მდე
57.00	კგ-მდე
63.00	კგ-მდე
70.00	კგ-მდე
70.00	კგ-ზე ზემო



შეჯიბრება ტარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით (IJF). ერთადერთ გამონაკლის წარმოადგენს მონინააღმდეგეთა წინასწარი კონტაქტის დამყარება. მამაკაცებში შერკინება გრძელდება 5 წუთი, ხოლო ქალებში 4 წუთი. გამარჯვებულად (ცხადდება მონანილე, რომელსაც ექნება მონინააღმდეგეზე მაღალი შეფასება). მომგებიანი ქულების მისაღებად ძირითად ილეთებს წარმოადგენს შეტევის და კონტრშეტევის დროს გდებები და შებოჭვები (შებოჭვა, მახრინბელა და მტკიცნეული ილეთები). ფეხებით, ხელებით და თავით დარტყმები აკრძალულია. უმაღლეს შეფასებად ითვლება “იპონი”. (იპონი) – რომელიც ცხადდება სწრაფი გამარჯვების (დროზე ადრე დამთავრების) შემთხვევაში, როდესაც სპორტსმენი ტატამს შეეხო ზურგის დიდი ნაწილით გდების შემდეგ, რომელსაც გააჩნდა მნიშვნელოვანი ამჟღვიტუდა, ძალა და სისწრაფე, ან როდესაც ჩატარდა შებოჭვა 25 წამის განმავლობაში. “იპონი” ცხადდება აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მახრინბელა ან მტკიცნეული ილეთი თვალნათელია, ან მონინააღმდეგე სპორტსმენი დამოუკიდებლად აღიარებს თავის დამარცხებას. ამისათვის მან უნდა აღიაროს “ატტა” (გნებდები) ან ორჯერ დაარტყას ტატამზე ხელები ან სხეულის რომელიმე ნაწილი.

კლასიფიციაცია

ძიუდოში სპორტსმენებს ყოფენ სამ კლასად (მხედველობის დაკარგვის დონის მიხედვით).

- 1 კლასი. სრული უსინათლობა. ამ კლასში მონანილეობენ ის სპორტსმენები, რომლებიც სრულიად ვერ ხედავენ შუქს, ან ცოტას აღიქვამენ შუქს, მაგრამ ვერ ანსხვავებენ ხელის ფორმას ნებისმიერი დაშორებიდან და მიმართულებიდან.

- 2 კლასი. მხედველობის ნაწილობრივ დაკარგვა, როდესაც ადამიანს შეუძლია ხელების ფორმის გარჩევა, მაგრამ მისი მხედველობა არ აღემატება 2/60 და, ან როცა ხედვის ველი შეადგენს არა უმეტეს 5 გრადუსს.

- 3 კლასი. სუსტადმხედველები, რომლებსაც გააჩნიათ მზერის სიმახვილეა 2/60-დან 6/60-მდე, ან როდესაც მხედველობის ველი იმყოფევა 5 გრადუსიდან 20 გრადუსამდე. ფოტოები აღებულია საიტიდან <http://en.paralympic.beijing2008.cn/>

## ინფორმაციული გვირჩევის პრინციპის რეგულარული წარდა

კბილების რეგულარული წმენდა გვინარჩუნებს ჯანმრთელობას და გვიხანგრძლივებს სიცოცხლეს — ამ დასკვნამდე მივიღნენ ინგლისელი მეცნიერები.

“თუ თავს არ დავიხსნით ბაქტერიებისაგან, რომლებიც მრავლდებიან პირის ღრუში, ისინი შეიძლება მოხვდნენ სისხლში და გამოიწვიონ თრომბის ნარმოშობა” განაცხადა პროფესორმა ჰოვარდ ჯენკინსონმა, რომელიც ეყრდნობოდა ინგლისელი მეცნიერების გამოკვლევების შედეგებს. მისი სიტყვებით კვების კონტროლთან, არტერიული წნევის, ქოლესტერინის დონის და ჯანმრთელობის მდგომარეობის წესრიგში ყოფნასთან ერთად აუცილებელია კბილების წესრიგში მოყვანაც. გარდა ამისა, პირის ღრუს უყურადღებოდ დატოვება 70%-თ ზრდის გულსისხლძარღვთა დაავადების რისკს. regnum.ru

## კიუ უილიამსის თავგადასავალი

ეს იყო ყველაზე გასაოცარი შემთხვევების ჯაჭვი, თუ კი რამ ოდესმე მომხდარა მსოფლიოში. მასში მონაწილეობდა სამი გემი, რომლებიც დაილუპნენ ერთმანეთიდან ასი წლის დაშორებით უელსის სანაპიროსთან ახლოს მდებარე სრუტეში. პირველი გემი დაიღუპა 1664 წლის 5 დეკემბერს. 81 მგზავრიდან, რომლებიც მის ბორტზე იმყოფებოდნენ, გადარჩა მხოლოდ ერთი, ვინმე ჰიუ უილიამსი. 1785 წლის 5 დეკემბერს, ზუსტად 121 წლის შემდეგ, ამ სრუტეში ისევ დაიღუპა გემი, და ისევ ყველა მგზავრი გამოეთხოვა სიცოცხლეს გარდა ერთისა, რომელსაც ჰიუ უილიამსი ერქვა.

ის, რომ ორი გემი იღუპება ერთი თვის ერთიდაიგივე დღეს — არც ისე გასაოცარია და შეიძლება მოხდეს კიდეც, მაგრამ ორივეჯერ რომ გადარჩა მხოლოდ ერთი და ისიც ჰიუ უილიამსი, ნამდვილად გასაოცარია და ამაში არის რაღაც მისტიკური. მაგრამ ისტორია ამით არ მთავრდება.

1860 წლის 5 დეკემბერს ამავე სრუტეში ისევ დაიღუპა გემი, პატარა შხუნა, სულ რაღაც 21 მგზავრით, და ისევ გადარჩა ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ჰიუ უილიამსი ერქვა.

## მეცნიერების ანალიზი

მსოფლიოს ყველა ხალხების მითებში მოხსენებულია ცალთვალა ლეგენდარული გოლიათი ციკლოპი. მაგრამ, ადამიანებშიც მოიძებნება ისეთი პიროვნება, რომელსაც გააჩნდა ერთი თვალი და ისიც შუბლზე ამოსული. იგი ცხოვრობდა მისი

## ზოგიერთი

სიპის სანახებში. როგორც იუწყებოდა “ბოსტონის სამედიცინო გაზეთი” მას შუბლზე ჰქონდა თვალის ერთი ჭრილი, რომელიც ნორმალურად ფუნქციონირებდა. ცირკის და კუნსტკამერის დირექტორები წლების მანძილზე ცდილობდნენ როგორმე მიეტყუებინათ იგი თავისთან, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ.



ბუნებრივია, ეს ადამიანი არ იყო ერთადერთი, რომელსაც ასეთი ანომალია გააჩნდა. მაგალითად, ინგლისში ცხოვრობდა ადამიანი, რომელსაც გააჩნდა ოთხი თვალი და ყოველ თვალს შეეძლო ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ფუნქციონირება და ოთხივე მხარეს ყურება.

## აღმოაჩინას კლანება, რომელიც სიცოცხლისათვის გამოსადეგია

მზის სისტემის მიღმა დედამიწიდან 20 სინათლის წელიწადის დაშორებით აღმოაჩინეს პლანეტა, რომელიც გამოდგება სიცოცხლისათვის.

ამერიკელი ასტრონომების შეფასებით, აღმოჩენილი პლანეტის ზედაპირზე შეიძლება იყოს წყალი თხევად მდგომარეობაში, ხოლო გრავიტაციის შეფასების ძალა მიუთითებს აგმოსფეროს არსებობას. თუ ეს დასკვნები შეესაბამება სინამდვილეს, მაშინ საქმე გვაქეს პლანეტასთან, რომელსაც გააჩნია სიცოცხლისათვის უფრო მეტი ოპტიმალური პირობები ყველა იმ პლანეტებს შორის, რომლებიც აღმოჩენილია დღემდე — ამის შესახებ განაცხადეს აღმოჩენის ავტორებმა, კალიფორნიის შტატის ქ. სანტა-კრუზის უნივერსიტეტის და ვაშინგტონის კარნეგის ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

მეცნიერები მივიღნენ ამ დასკვნამდე 11 წლის მუშაობის შემდეგ, რომლების თანავარსკვლავედს აკეირდებოდნენ “ეკ-1”-ს ტიპის ოპტიკური ტელესკოპით, რომელიც მდებარეობს ჰავაის შტატში და ითვლება ამ ტიპის ყველაზე დიდ ინსტრუმენტად. ახლად აღმოჩენილ ციურ სხეულს უწოდეს “581-გ”. ეს პლანეტა 3-4-ჯერ მიმედია ჩვენს დედამიწაზე, რომელიც ტრიალებს ე.წ. “გლიზ 581”-ს (წითელი ჯუჯა) იწოდება. შემოვლის პერიოდია 37 დედამიწის დღე და ღამე. დაკავირვების შედეგად ვარაუდობენ, რომ ციური სხეული “581-გ” დაფარულია კლდეებითა და ქვებით. მიზიდულობის ძალა საკმარისად მაღალია ატმოსფეროს არსებობისათვის. ამასთან ერთად მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ყველა ეს პირობა აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ ეს პლანეტა აუცილებლად გამოსადეგია ადამიანისათვის. იუნიება itar-tas



## ყოველთვიური საგანანაოლო-გლობულური საინფორმაციო ჟურნალი გაზღუდული შესაძლებლობის მქონე პირობისათვის

დაიწყო ხელისმონერის გაფორმებები 2011 წლის იანვრიდან უურნალ „იმედი+“-ს მიღებაზე. უურნალის გამონერა შესაძლებელია ქ. თბილისის მაცხოვრებლებისათვის „მაცნეს“, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში „აჭარპრესის“, ხოლო ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობისათვის „საქპრესის“ გამავრცელებელი სააგენტოების საშუალებით.

ქ. თბილისის მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ ხელმონერისათვის „მაცნეს“ ოფისებს შემდეგ მისამართზე:

ცენტრალური ოფისი, პეტიონის გამზირი — ტელ. 25 33 88; 37 47 49

ი. ჭავჭავაძის გამზირი №46 — ტელ. 22 64 58

რ. თაბუკაშვილის ქ. №12 — ტელ. 93 12 94

ივ. ჯავახიშვილის ქ. №4 — ტელ. 95 87 36

ზემოთჩამოთვლილ ტელეფონებზე დარეკვისას, სურვილის შემთხვევაში, „მაცნეს“ წარმომადგენელი ხელისმონერას განახორციელებს ადგილზე მისვლით.

უურნალის ღია მონაცემები 3 ლარი. სამი თვით 9 ლარს, ექვსი თვით 18 ლარს, ხოლო ერთი წლით გამონერა 36 ლარს შეადგენს. ხელისმონერა ხორციელდება, როგორც ნაღდ, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გამოიწვიათ ჟურნალი „იმედი+“. თქვენი და თქვენი რვაცის უკრთგულესი მაგრარი.

